# კავკასიონი

ყოველდღიური გაზეთი №147 (216) | ოთხშაბათი, 16 აგვისტო, 1995 | ფასი 250 000 კუპონი




## დიდგორობა

საქართველოში უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი წლის 12 აგვისტოს სახალხო დღესასწაულის "დიდგორობის" აღნიშვნა. ვფიქრობთ, ზედმეტია მკითხველისთვის იმის შეხსენება, თუ რადენ დიდი, ჩვენი სამშობლოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დავით აღმაშენებლის მეთაურობით 874 წლის წინათ მოპოვებულ გამარჯვებას, ანუ ჟამთააღმწერლის სიტყვებით,"ძლევაი საკვირველს" ურჯულოთა ზედა. დიდგორის ომს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს სამხედრო სპეციალისტები და იგი სამართლიანად არის შეტანილი სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო ხელოვნების ისტორიათა სახელმძღვანელოებში.

შაბათს, კვლავ ხალხმრავლობამ მოიცვა დიდგორის მიდამოები, ოღონდ თურქ-სელჯუკთა და ქართველთა ლაშქრის ნაცვლად ამ ისტორიულ ადგილს ის ადამიანები ეწვივნენ, ვისთვისაც დიდი პატივია სახელოვანი წინაპრების შთამომავალთა სახელის ტარება. აქ მყოფი მანგლისის სამხედრო სასწავლო ცენტრისა და პირველი მოტომსროლელი ბრიგადის თეთრიწყაროს ასეულისთვის მართლაც რომ ღირსშესანიშნავი გახლდათ წლევანდელი დიდგორობა. ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს. სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გულთბილად მიულოცა მათ ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის დაწყება და წარმატება უსურვა.

შემდეგ დაიწყო ზეიმის ოფიციალური ნაწილი. შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ჩვენც წინ გვიდევს ჩვენი დიდგორი, რათა უსისხლოდ დავიბრუნოთ წაგლეჯილი აფხაზეთი და შიდა ქართლი, რათა აღვადგინოთ საქართველოს ერთიანობა, - თქვა მან.

დღესასწაული დასრულდა კონცერტით.

## ფაქტები და მოვლენები

### ჯინჯოლია მხარს უჭერს შევარდნაძეს

14 აგვისტოს საქართველოს რადიოთი გამოსვლისას ტრადიციულ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საჭიროა დაიწყოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებათა ახალი რაუნდი. სახელმწიფოს მეთაურის აზრით, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთს საგანგებო სტატუსი მიენიჭება, მაგრამ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. გამოსვლაში ისიც ითქვა, რომ თუ მოლაპარაკებანი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებენ, მაშინ დღის წესრიგში პრობლემის არასამშვიდობო გზით გადაწყვეტის საკითხი დადგება.

ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას იმ დღესვე გამოეხმაურა აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის სპიკერი სოკრატ ჯინჯოლია. რადიო „თავისუფლება" იტყობინება, რომ იგი ძირითადად დაეთანხმა სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ აფხაზეთი მუდამ იყო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და მოლაპარაკებათა ახალი რაუნდის დაწყების მომხრე. ჯინჯოლიას სიტყვებით, იგი აღნიშნულ საკითხს აუცილებლად დააყენებს აფხაზეთის პარლამენტის უახლოეს სესიაზე.

### ღირსეულ მამულიშვილთა წმინდანებად შერაცხვა

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა განიხილა ერისა და სამშობლოსთვის თავდადებული მამულიშვილების, კათოლიკოს ამბროსის, თევდორე მღვდლის, გაბრიელ ეპისკოპოსის, მიტროპოლიტ ნაზარის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა წმინდანებად შერაცხვის საკითხი და დადებითად გადაწყვიტა იგი. ამასთან დაკავშირებით, 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის ტაძარში გაიმართება საგანგებო რიტუალი.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘ

### აფხაზეთი: სცემენ ქართველებს

მორიგი ბარბაროსული დანაშაული ჩაიდინეს გალის რაიონში მილიციის ფორმაში გადაცმულმა აფხაზმა ბოევიკებმა. სოფელ ღუმურიში ისინი შეიჭრნენ ადგილობრივი გლეხის მურმან წულაიას სახლში. ბანდიტები მოითხოვდნენ ცეცხლსასროლ იარაღს. უარის მიღებისა და უშედეგო ძებნის შემდეგ, გამხეცებულმა აფხაზებმა სახლის მფლობელი, გალის მილიციაში წაიყვანეს, სადაც მას მთელი დღის განმავლობაში სცემდნენ და აწამებდნენ. მხოლოდ რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩარევამ იხსნა ადამიანის სიცოცხლე. მურმან წულაია ოპერატიულად მოათავსეს ზუგდიდის საავადმყოფოში.

ანალოგიური დანაშაული ჩაიდინეს ბანდიტებმა სოფელ პირველი გალის მშვიდობიან მცხოვრებთაწინააღმდეგ.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

### ინდოეთის ელჩი საქართველოში

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნის ცნობით, 15 აგვისტოს ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რაჯენდრა კუმარ რაიმ რწმუნებათა სიგელები გადასცა პარლამენტის თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს. ცერემონიალის შემდეგ გაიმართა შეხვედრა. ე.შევარდნაძემ ელჩს გააცნო საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.თავის მხრივ, ელჩმა აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობა დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს მიმართ და დადებითად აფასებს საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ არჩეულ სწორ კურსს. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს აგრეთვე კავკასიის რეგიონსა და მსოფლიოში არსებული პრობლემები.

### პირველი შედეგები

15 აგვისტოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრში საგენტოს კორესპონდენტს შეატყობინეს, რომ თბილისში დასრულდა პირველი საბარათო აუქციონი, სადაც გამოტანილი იყო 25 სააქციო საზოგადოების 2 მილიონ 938 769 ცალი აქცია, რომელთა ნომინალური ღირებულება შეადგენდა 4 მილიონ 296 445,9 ამერიკულ დოლარს. აუქციონზე 227 განაცხადი შემოვიდა 24 450 ვაუჩერი. სულ საშუალოდ გაიყიდა გამოტანილი აქციების 33 პროცენტი, მათ შორის 9 სააქციო საზოგადოების დაახლოებით 100 პროცენტი და 2 სააქციო საზოგადოების 50 პროცენტი. პირველ აუქციონზე ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულებამ საშუალოდ 61 დოლარი შეადგინა, რაც პირველი აუქციონისთვის დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს.ამა წლის 2-16 აგვისტოს თბილისში მიმდინარეობს მე-5 სპეციალიზებული საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილია 28 საწარმოს 2,4 მილიონ აქციაზე მეტი, სულ 3,5 მილიონი დოლარის ღირებულებით.

### გვექნება რუსეთის ელექტროენერგია

გასულ კვირას, მოსკოვში გაიმართა საქენერგოსა და რუსენერგოს წარმომადგენლების შეხვედრა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „კავკასიონის" აღდგენითი სამუშაოების ფინანსირების საკითხებს, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემებს აკავშირებს, ძირითად რუსეთის მხარე აიღებს თავის თავზე. აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას პირადად უხელმძღვანელებს პრემიერმინისტრი ოთარ ფაცაცია. გადამცემ ხაზზე მომუშავე ექსპერტების ცენტრალური შტაბი ზუგდიდში დაიდებს ბინას. რუსი სპეციალისტების ერთი ნაწილი უკვე ჩავიდა დასახლებულ პუნქტ ჯვარში და შეუდგა მოსამზადებელ სამუშაოებს.

### ვიზიტი გრძელდება

თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, 15 აგვისტოს თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ვარდიკო ნადიბაიძემ, მიიღო აშშ-ს ეროვნული გვარდიის დელეგაცია ბრიგადის გენერალ ტომას მაკალას ხელმძღვანელობით. მინისტრმა სტუმრებს აუწყა, რომ ქართული გვარდია შედის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში და ხელისუფლება მუდმივად ზრუნავს მასზე. სტუმარმა ბატონ ვარდიკო ნადიბაიძეს გააცნო აშშ-ს ეროვნული გვარდიის ძირითადი ფუნქციები: რეზერვისტების წვრთნა და გვარდიელების მონაწილეობა საგანგებო სიტუაციებში. ტომას მაკალამ გამოთქვა სურვილი, გამოგზავნოს ამერიკელი ინსტრუქტორები საქართველოში, თავდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო კავშირების დასამყარებლად.

ᲘᲞᲠᲘᲜᲓᲐ

### აშშ-მ ზამთრისთვის გამოგვიყო ხორბალი და მაზუთი

გუშინ, ვიცეპრემიერმა თემურ ბასილიამ მიიღო ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი. განიხილეს ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები და საქართველოსთვის მომავალი დახმარების გაწევის საკითხები. როგორც კენტ ბრაუნმა აღნიშნა, ამერიკამ საქართველოს გამოუყო 29 000 ტონა ხორბალი და 75 000 ტონა მაზუთი, რომელიც ზამთრის სეზონისთვისაა განკუთვნილი.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ნავთობსადენის საქართველოზე გავლის საკითხებს.

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ




## უცხოეთი — უახლესი ცნობები

### ხორვატები მშობლიურ მხარეში ბრუნდებიან

რადიო „თავისუფლების" ცნობით, 10 დღის განმავლობაში ხორვატები დაუბრუნდებიან მშობლიურ კრაინას, საიდანაც ისინი ოთხი წლის წინათ იძულებით გაასახლეს, ხოლო მათი სახლ-კარი და მიწა-წყალი სერბებმა დაიკავეს. როგორც ცნობილია, ხორვატთა ეს ქმედება, გარკვეული თვალსაზრისით „სამართლიანობის აღდგენის" მიუხედავად, მსოფლიოს საზოგადოებრიობამ მაინც უარყოფითად შეაფასა რეგიონში ისედაც დაძაბული ვითარების კიდევ უფრო გამწვავების გამო. ამას დაემატა აგრეთვე კრაინიდან აყრილი ათასობით სერბი ლტოლვილის ბედი. სერბიის ხელისუფლებამ მათი კოსოვოს პროვინციაში დასახლება გადაწყვიტა, რამაც ალბანეთის შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან კოსოვო ძირითადად ეთნიკური ალბანელებით არის დასახლებული. ლტოლვილ სერბებს 10 მილიონი დოლარით დაეხმარა გერმანიის მთავრობა, ჰუმანიტარული დახმარების სურვილი გამოთქვეს აგრეთვე პოლონეთმა და ბულგარეთმა. ამ დღეებში კი წითელმა ჯვარმა შეადგინა ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტის მთელ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგული 6 ათასი ადამიანის სია, რომელიც მათ ლტოლვილი ქალებისგან მოიპოვეს. სიასთან ერთვის აშშ-ს კოსმოსური თანამგზავრიდან გადაღებული ფოტო, რომელზეც გამოსახულია რეგიონის ერთ-ერთ პროვინციაში არსებული მასობრივი სახელდახელო სასაფლაო.

### ჩეჩნეთი: შეთანხმებას ორივე მხარე არღვევს

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ჩეჩნეთში ორივე მებრძოლი მხარეების სამშვიდობო შეთანხმებას რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია. ჩეჩნები არ ყრიან იარაღს, რუსებს კი ერთი ჯარისკაციც არ გაუყვანიათ რეგიონიდან, პირიქით, ამავე სააგენტოს მტკიცებით ისინი მორიგი შეტევისთვის ემზადებიან. მდგომარეობა განსაკუთრებით გაართულა იმან, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ პროვინციაში ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად მშვიდობიანი მოსახლეობა კანისა და ყელის ავადმყოფობის მეტად მძიმე ფორმით დაავადდა. ჩეჩნური მხარის მტკიცებით ქიმიური იარაღი რუსებმა გამოიყენეს.

12 აგვისტოს მოლაპარაკება კვლავ განახლდა. რუსეთის დელეგაციას ანატოლი რომანოვი მეთაურობდა, ჩეჩნეთისას — ასლან მასხადოვი. მოლაპარაკებისას რაიმე ახალი არ თქმულა. ორივე მხარე ჟიუტად მოითხოვს, რომ ადრე მიღწეული შეთანხმების უმთავრესი პირობები პირველად მოწინააღმდეგემ განახორციელოს. ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ ტყეში გახიზნულმა შამილ ბასაევმა განაცხადა, რომ ის და მისი მებრძოლები არანაირი გარიგების შემთხვევაში არ დაყრიან იარაღს, თუნდაც ეს თვით ჯოხარ დუდაევმა მოითხოვოს.

და ბოლოს, ერთმა მაღალი ჩინის რუსმა გენერალმა სახაცილო უწოდა რუსეთის ხელისუფალთა მიერ დაწესებულ ნიხრს — საშუალოდ 50 ათასიდან 300 ათას რუბლს, რომელიც უნდა გადაუხადონ ჩეჩენ მებრძოლებს თითოეულ ნებაყოფლობით ჩაბარებულ ცეცხლსასროლ იარაღში.

### საარჩევნო ციებ-ცხელება აზერბაიჯანში

აზერბაიჯანიდან მიღებული ცნობებით რესპუბლიკაში ახალი საპარლამენტო არჩევნები ამა წლის 12 ნოემბერს გაიმართება. არჩევნები შერეული, მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით ჩატარდება. ამ კამპანიამდე თუმცა სამ თვეზე ცოტა ნაკლები დარჩა, მაგრამ აზერბაიჯანში უკვე აგორდა პოლიტიკური ვნებათაღელვა. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებამ ამ დღეებში კანონგარეშედ გამოაცხადა ხუთი ოპოზიციური პარტია, რომელთაც, როგორც მიმომხილველნი ვარაუდობენ, არჩევნებში გამარჯვების არც თუ ურიგო შანსები ჰქონდათ. რესპუბლიკის ოპოზიცია ქვეყნის მოსახლეობას ბოიკოტისკენ მოუწოდებს, თუ კი აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა არ შეცვლის აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

### ცნობები ყოფილი იუგოსლავიიდან

ცენტრალურ ბოსნიაში ადგილობრივმა მუსლიმანებმა განახორციელეს შეიარაღებული შეტევა ხორვატიის მიმართულებით და საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს საკურორტო ქალაქ დუბროვნიკს. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. აშშ-ს ადმინისტრაციამ კვლავ განაცხადა, რომ რეგიონში მშვიდობა მოლაპარაკების გზით დამყარდება, თუ კი მრგვალ მაგიდას მიუსხდებიან ბოსნიის, სერბიის, ხორვატიის, აგრეთვე რუსეთის, აშშ-ს, გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. ამის შესახებ თქვა აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხში ენტონი ლეიქმა. ცნობილი გახდა ისიც, რომ ამ დღეებში რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ტელეფონით ესაუბრა გერმანიის კანცლერს ჰელმუტ კოლს და კვლავ დაადასტურა ადრე ნათქვამი, რომ იგი ცალმხრივი წესით გააუქმებს გაეროს მიერ სერბიის მიმართ დაწესებულ სანქციებს, თუ კი ხორვატია არ შეწყვეტს აგრესიას ამ ქვეყნის მიმართ.

### ბულგარეთი არღვევდა გაეროს სანქციებს

თუმცა, ეს უშუალოდ რესპუბლიკის ხელისუფლების მიმართ არ ითქმის.საქმე ისაა, რომ ბულგარეთის საგანგებო ადმინისტრაციულმა სამსახურმა გამოააშკარავა რამდენიმე მაღალი ჩინის მოხელის საქმიანობა, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ახალი იუგოსლავიის (იგულისხმება სერბია და ჩერნოგორია) წინააღმდეგ მიმართული გაეროს ეკონომიკურ სანქციებს. ეს პირები არც თუ უანგაროდ აგზავნიდნენ იუგოსლავიაში სხვადასხვა სახის პროდუქტს, აგრეთვე ავეჯსა და საწვავს. რეიტერის სააგენტოს მტკიცებით, ქვეყანაში იარაღის გარკვეული პარტიაც შედიოდა. დამნაშავენი, რომლის კონკრეტულ ვინაობას არ ასახელებენ, დაკავებულნი არიან. მიმდინარეობს ძიება.

### ნარკობიზნესმენებს... თავი მოჰკვეთეს

დიახ, ამგვარი მოძველებული ხერხით დასაჯეს საუდის არაბეთის ხელისუფლებმა თურქეთის მოქალაქენი, რომელნიც ამხილეს ქვეყნის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შემოზიდვაში. ამისთვის კი ისევე, როგორც წინასწარ განზრახული მკვლელობის, ყოველგვარი ძალადობის, ტერორის, თვითმფრინავის გატაცებისა და სხვა მძიმე დანაშაულისთვის საუდის არაბეთში, რომელშიც შარიათის კანონები მოქმედებენ, არსებობს სასჯელის აღნიშნული ფორმა — თავის მოკვეთა.

თურქეთის რესპუბლიკამ ამასთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვა. ჩვენ დამნაშავეებს არ ვიცავთ, მაგრამ სასჯელის შუასაუკუნეობრივი ფორმა მიუღებელია ცივილიზებული სამყაროსთვის, — განაცხადა თურქეთის საგარეო სამინისტრომ.

მოამზადა

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔᲛ

## მოკლედ

### „ლარის" საკითხი 10 დღეში გადაწყდება

14 აგვისტოს, სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ უახლოესი 10 დღის განმავლობაში მინისტრთა კაბინეტი განიხილავს და განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ვალუტის „ლარის" ბრუნვაში შემოღების თარიღს.

### ამერიკის სამხედრო ხომალდი საქართველოში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, 16 აგვისტოს ბათუმის პორტში შემოვა ამერიკის მე-6 სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარაკეტო ფრეგატი „იუს ჰოქსი" (კაპიტანი ჯეიმს სამფორდი).ვიზიტი გათვალისწინებულია ნატოს პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისთვის".

### „მხედრიონი" რეგისტრაციაში გატარდა

საგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 14 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა პოლიტიკური ორგანიზაცია „მხედრიონი".

### შეიქმნა ახალი დეპარტამენტი

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ამ დღეებში ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახაზინო დეპარტამენტი, რომლის მიზანია საბიუჯეტო სახსრების აკუმულირება და განკარგვა. სპეციალისტების აზრით, სახაზინო დეპარტამენტი ეფექტური მექანიზმი იქნება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისთვის

### გაემგზავრნენ სომხეთს

სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, 14 აგვისტოს საქართველოს პრემიერმინისტრი ოთარ ფაცაცია და ვიცეპრემიერი ზურაბ კერვალიშვილი სამუშაო ვიზიტით სტეფანავანს გაემგზავრნენ. წინასწარი მონაცემებით, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები შეხვდებიან სომხეთის პრემიერმინისტრს გრანტ ბაგრატიანს. მოლაპარაკების პროცესში მხარეები აპირებენ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმებას..

ᲘᲞᲠᲘᲜᲓᲐ

## პრესკონფერენცია — ეკონომიკა

## საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში

სასიკეთო ძვრები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკაში ხდება, შეუმჩნეველი არ რჩება საზღვარგარეთ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ და ამის მიზეზი ყველასთვის ნათელია — ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმა მიმდინარეობს და მისი დადებითი შედეგი ეჭვს აღარ იწვევს.

„თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლა ყოველთვის დიდი სიამოვნებაა და მე გამიჭირდება იმ ადამიანის დასახელება, ვისაც ქართველები და საქართველო არ უყვარს", — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა მუჰამედ შადმან ვალავიმ, რომლის ვიზიტი 15 აგვისტოს დასრულდა. აღნიშნული მისია საქართველოს ორი თვის წინ ეწვია და სასიკეთო ცვლილებები ერთ-ერთმა პირველებმა, სწორედ, მათ შენიშნეს. კუპონის ინფლაციის შეჩერება და ფასების სტაბილიზაცია, ბატონი შადმანის აზრით, მთავრობის მიერ გატარებული სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგია.

„მე მიმაჩნია, რომ ქართველებს შეუძლიათ პრობლემების მოგვარება. საერთაშორისო საზოგადოება გეხმარებათ და მომავალშიც მზადაა, დახმარება გაგიწიოთ, ოღონდ ერთი პირობით — ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ქართველ ხალხს თავად სურს რეფორმების გატარება. რეფორმების შედეგებს თვალნათლივ ვხედავთ. თუ მზადყოფნას დავინახავთ, მაშინვე ჩამოვალთ და რჩევით დახმარებასაც ყოველთვის გაგიწევთ", — ასეთია მისიის ხელმძღვანელის აზრი — პიროვნებისა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ნორმალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაში. ბატონ შადმანის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, რომლებიც საქართველოში ამჟამად არსებულ სიტუაციას, ეკონომიკურ ცვლილებებსა და ფულად-საკრედიტო სისტემას ეხება, ვაშინგტონში ფონდის დირექტორთა საბჭო გაეცნობა და საბოლოო დასკვნებსაც სწორედ ის გამოიტანს.

ივნისში, სავალუტო ფონდმა საქართველოს „stand by"-ის კრედიტი გამოუყო. ამით, შეიძლება ითქვას, პირველი ეტაპი დასრულდა. ჯერი ახლა მეორე ეტაპზეა. შემდგომი კრედიტის მიღება, რომელსაც სექტემბრის ბოლოსთვის ვარაუდობენ, უთუოდ პირველის მიზნობრივად გამოყენებისა და ეკონომიკური რეფორმების მართებულად გატარების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ბატონ შადმან ვალავის აზრით, მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ წინ ურთულესი პერიოდი გველის. გარდამავალი ეტაპი ყოველთვის მტკივნეულია. სოციალისტურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ბუნებრივია, ბევრ სირთულეებთანაა დაკავშირებული და მრავალმხრივ კოორდინაციას მოითხოვს. ინფლაციის შეჩერება და ეროვნული ბანკის პოზიციების მნიშვნელოვნად განმტკიცება უდაოდ სასიამოვნოა, მაგრამ საგადასახადო და საბაჟო სფერო ძირეულ რეორგანიზაციას საჭიროებს.

სექტემბრისთვის დაგეგმილია გადასახადების ექსპერტის ემილ სანლის ვიზიტი, რომლის ძირითად მიზანს აღნიშნულ სექტორში ტექნიკური დახმარების გაწევა წარმოადგენს. ერთკვირიანი ვიზიტი, ბუნებრივია, ყველა პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას არ იძლევა, მაგრამ მაინც იმედიან განწყობილებას ქმნის.

„ფინანსური სტაბილიზაცია მიღწეულია და ფულის რეფორმისთვის საქართველო უკვე მზადაა", — განაცხადა შადმან ვალავიმ პრესკონფერენციაზე, რომელსაც ვიცეპრემიერი თემურ ბასილია და მთავრობის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ESAF-ის პროგრამაზე მუშაობის დაწყება, რომელიც სტრუქტურული გარდაქმნების დაფინანსებას ითვალისწინებს და საკმაოდ შეღავათიან კრედიტს წარმოადგენს.

ვიცეპრემიერ თემურ ბასილიას განცხადებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ, ქართულ მხარესთან ერთად, საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა და შემდგომი თანამშრომლობის გზებიც დასახა. ფონდის მორიგი მისიის ვიზიტი არჩევნების შემდეგ არის დაგეგმილი.

ᲓᲝᲓᲝ ᲑᲝᲯᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრი

# არჩევნები-95 და პოლიტიკური პარტიები

## და ოცნება, რომელსაც კაცი არ მოუკლავს

საქართველოს პოლიტიკურ-პარტიულმა სისტემამ ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა ძირეული ტრანსფორმაცია. 80-იანი წლების ბოლომდე ამ სისტემის ძირითად ღერძს წარმოადგენდა ხაზი — „კომუნისტები-დისიდენტები“, საბჭოთა კავშირის ნგრევის კვალობაზე კი ჩვენთან თანდათანობით იწყო დამკვიდრება მრავალპარტიულობის ინსტიტუტმა, რომელშიც ჯერ 1990 წლის არჩევნების შემდეგ მოსული ნაციონალისტური ძალები დომინირებდნენ, ხოლო 1991-92 წლების თბილისის ტრაგიკული მოვლენებისა და 1992 წლის არჩევნების შემდეგ — დღევანდელი ხელისუფლება, რომელიც საკუთარ თავს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებარე ძალად მიიჩნევს და პარტიულ-საკვალიფიკაციო სისტემაში ცენტრისტულ-მემარცხენე პოზიციებზე დგომის პრეტენზია გააჩნია.

ამჟამად, როდესაც ხელისუფლების ზედა ეშელონებში „ყარაულის შეცვლის“ მომენტამდე სამიოდე თვეღაა დარჩენილი, ქართული პოლიტიკური სპექტრის თითოეული ინგრედიენტი საბო-



[illegible]

სამინისტროში რეგისტრირებულია 100-ზე მეტი პოლიტიკური ორგანიზაცია, მათი სწრაფი წარმოშობა-გამრავლება, რასაც პოლიტოლოგები, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს საზოგადოებაში დიდი ხნის განმავლობაში გამეფებული „პოლიტიკური შიმშილის“ დაძლევის სურვილით ხსნიან.

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, გარდა იმისა, რომ მცირერიცხოვანნი არიან (თუმცა, ბევრი ლიდერი თავისი „სამწყსოს“ რაოდენობის დასახელებისას საკმაოდ სოლიდურ ციფრს მიუთითებს), მოიკოჭლებენ როგორც ორგანიზაციული, ისე იდეოლოგიური თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში მათი წესდებები, პროგრამები თუ წინასაარჩევნო პლატფორმები თითქმის იდენტურია ან მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება ერთმანეთისგან. უკვე აღარავის უკვირს მათი საპროგრამო დოკუმენტების უმნიშვნელოვანესი დებულებების, აგრეთვე თვით პარტიის სახელწოდების შეცვლა, საკუთარი იდეების, მრწამსის, მსოფლმხედველობის სისტემატური გადასინჯვა-რევიზია, კონიუნქტურული ფაქტორის გათვალისწინებით — სხვა, აშკარად განსხვავებული ორიენტაციის მქონე პარტიებთან ხანმოკლე ალიანსი ან შერწყმა-შეერთება და ა.შ.

ბოლო წლებში ჩვენი საზოგადოება მოწმე გახდა არაერთი უდღეური პოლიტიკური პარტიისა თუ დაჯგუფების წარმოშობა-ლიკვიდაციისა, ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური ძალების მოუქნელობისა, კრიზისულ სიტუაციებში მათი არასწორი ორიენტირებისა, ვიწრო პარტიული ინტერესების საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა დაყენებისა. პრაგმატული, რაციონალური მიზნების დასახვის, მათი მიღწევის გზების ძიების ნაცვლად საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის ძირითადი ნაწილი მთელ თავის ენერგიას ხშირად ურთიერთდაპირისპირებაში, წვრილმან კინკლაობაში და ინსინუაციებში ხარჯავს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად რიგი პოლიტიკური პარტიებისა უპირატეს მიზნად პარლამენტში რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლის „დასმას“ ისახავს, ამ მიზნის მიღწევის შემდეგ კი არც ასეთი ორგანიზაციები და არც მათი „ლიდერები“ მომავალ არჩევნებამდე ელექტორატს აღარ „აწუხებენ“, ჩრდილში ჭოფნას ამჯობინებენ და მერკანტილური ამოცანების გადაწყვეტით არიან დაკავებულნი.

ყოველივე ამას ბოლო პერიოდში დაემატა აშკარად გამოხატული სიმპტომები ისეთი საშიში ტენდენციისა, როგორიცაა პოლიტიკის კრიმინალიზაცია (ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს, იგივე პრობლემა დგას ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ ქვეყანაში, თუმცა, ეს ვერაფერი ნუგეშია). ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად თითქოს გარკვეული ზომებიც გატარდა — შეიქმნა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისია, მაგრამ იგი, ფაქტობრივად, არც ამოქმედებულა. ვერ მოხერხდა მისი „პარალელური სტრუქტურის“ — კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის კვლევის დროებითი საპარლამენტო კომისიის დებულების შემუშავება და დადგენილების მიღება „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საქმიანობის კანონიერების შესწავლის შესახებ“, მიუხედავად იმისა, რომ ორივე საკითხი თითქმის მთელი წლის მანძილზე ფიგურირებდა პარლამენტის პლენარული სხდომების დღის წესრიგში. ასევე გადაუჭრელ ამოცანად დარჩა ძალოვანი სტრუქტურების ყველა ხელმძღვანელის პარლამენტის დარბაზში ერთად შეკრება და სხვადასხვა სახის დანაშაულებებთან (განსაკუთრებით ტერორიზმთან) ბრძოლის საერთო სტრატეგიული კურსის შემუშავება.

ასეთ პირობებში გაოცებას აღარ უნდა იწვევდეს კრიმინალური მომენტების სიუხვე პოლიტიკურ სფეროში; ტერორიზმის აგორებული ტალღა პარტიულ ელიტასაც შეეხო და იმსხვერპლა პოლიტოლოგების მიერ „მომავლის პო-

[illegible]

ნორმების ხშირ იგნორირებას, რაც გამოიხატება ჩხუბში, აყალმაყალში, უცენზურო გამოთქმებში და საერთო უკულტურობაში, იოლი ასახსნელი ხდება ამომრჩეველთა აპათიისა და ნიჰილიზმის გაღრმავება ქართული პოლიტიკური ბომონდის მიმართ.



ნოდარ ნათაძე

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მრავალპარტიული ინფრასტრუქტურა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რესპუბლიკის პოლიტიკურ კლიმატს, ჩვენთან უკვე არსებობს. სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების აშენება და მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე პარლამენტის ფუნქციონირება კი ნორმალური მრავალპარტიული სისტემის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-პარტიულ სივრცეში უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე საგულისხმო, თვისობრივი ცვლილება მოხდა, რის შედეგადაც პარტიულ-საკლასიფიკაციო სისტემამ, გარკვეულწილად, იცვალა სახე. ზოგიერთი ძალა საერთოდ გავიდა არენიდან და სხვასთან გაერთიანდა (სახალხო ფრონტი, „ქარტია-91“, რესპუბლიკური პარტია, დასი), სხვებმა „გადასინჯეს“ თავისი შეხედულებები და „ქორების“ ბანაკიდან „მტრედებთან“ გადაინაცვლეს ან პირიქით (მემარჯვენეობიდან ცენტრისკენ გადაიხარა ტრადიციონალისტთა კავშირი; მემარჯვენეობიდან ცენტრისტობისკენ და შემდეგ კვლავ მარჯვნივ — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და კონსტიტუციურ-მონარქისტული პარტია, ცენტრიდან მარჯვნივ — ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, ცენტრიდან მარცხნივ — მოქალაქეთა კავშირი და აგრარული პარტია), გამოჩნდნენ ახალი ძალებიც, რომელთაც სერიოზული პოლიტიკური ამბიციები გააჩნიათ (ერთიანი კომუნისტური პარტია, საზოგადოება „არჩევნები“, „მხედრიონი“, სოციალისტური პარტია და სხვა).

ასეთი თვისობრივი ცვლილებები პოლიტიკურ სპექტრში მეტად ნიშანდობლივია და სრულ შესაბამისობაშია საზოგადოებრივი ცხოვრების არასტაბილურობასთან, მის ამორფულობასთან და კონვულსიურ ხასიათთან.

საერთოდ, პარტიის ან პოლიტიკური მოძრაობის მიკუთვნება პოლიტიკური სპექტრის ამა თუ იმ ფრთისთვის იმის მიხედვით ხდება, თუ რა როლს



ირინა სარიშვილი-ჭანტურია

ანიჭებენ ისინი ეროვნულ და სოციალურ-ეკონომიკურ ფასეულობებს, რომელ მათგანს ანიჭებენ პრიორიტეტს სახელმწიფოებრივი მმართველობის ტექნოლოგიურ სისტემაში.

ამ ბანაკების დღევანდელი სახით ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს შეერთებამ დსთ-ს წესდებასთან.

დსთ-ში ყოფნა გარკვეულწილად ზღუდავს ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ამიტომ ის პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც ეროვნულ ღირებულებათა პირველადობას აღიარებდნენ, ბუნებრივია, თანამეგობრობაში შესვლის წინააღმდეგ გამოვიდნენ და შესაბამისად, მემარჯვენეთა ბანაკში დამკვიდრდნენ, ხოლო მათ, ვისაც დსთ-ს წევრობა ქართული სახელმწიფოებრიობისთვის სულის მოთქმის, მისი შემდგომი მშენებლობის და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებად მიაჩნდათ, დსთ-ში შესვლას აქტიურად დაუჭირეს მხარი და ამით მემარცხენეთა ბანაკში აღმოჩნდნენ.

ასეთი პოლიტიკური გათიშვის პირობებში აუცილებელი ხდება მაბალანსირებელი ძალის — ცენტრის არსებობა, რომლის „ისტორიული“ დანიშნულებაა პოლიტიკურ სისტემაში შექმნილი კონფრონტაციის შერბილება და ვითარების შეძლებისდაგვარად სტაბილიზაცია.

ცენტრიზმის მთავარი არსი დათმობა და დაპირისპირებულ ძალებთან აქტიური თანამშრომლობაა. ამიტომ მის მიმდევრებს ინტერესთა დაბალანსებაში მთავარ როლს ანიჭებენ (თვით სიტყვა „ცენტრიც“ კი, თავისი შინაარსით ერთგვარად ამშვიდებს და იმედებითად განაწყობს საზოგადოებას). „ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მიიჩნევს, რომ შეუძლია ქვეყანა გამოიყვანოს კოლაფსური მდგომარეობიდან, აუცილებლად უნდა გამოდიოდეს ქვეყნის ძირეული ინტერესებიდან, თუნდაც სამშობლოში მისთვის არასასურველი ხელისუფლება იყოს... ეს არის მხოლოდ შესაძლო კომპრომისებზე წასვლა ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით“ (აკაკი ასათიანი).

დღევანდელ საქართველოში ცენტრი საკმაოდ პირობითი ცნებაა. თუ ადრე რადიკალიზმი ითვლებოდა ყველაზე მომგებიანად და რესპუბლიკაში მოქმედი თითქმის ყველა სერიოზული ძალა მასზე აცხადებდა პრეტენზიას, დღეს უკვე ცენტრიზმმა შეიძინა მომხიბლავი ელფერი და არის ტენდენცია, რომ საკუთარი კურსის დახასიათებისას ყველამ ცენტრისტული პრინციპების „ერთგულება“ აღიაროს. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავს ცენტრს მიაკუთვნებენ, უფრო მეტად თვით ამ ტერმინს ეყრდნობიან, ვიდრე მის პრინციპებს და „მრუყალების“ დანახვაზე ექსპერტებს აშკარად უჭირთ მათი მომრიგებლის მანტიაში აღქმა.

ეჭვგარეშეა, რომ კარსმომდგარ არჩევნებში პოდიუმზე სავარძლების დასაკავებლად უშელავათო ბრძოლა გაჩაღდება როგორც ცალკეული ბანაკის წარმომადგენელ პოლიტიკურ პარტიებს, ისე ბანაკის შიგნით განსხვავებული შეხედულებების მქონე ძალებს შორის. თითოეულ მათგანს მოუწევს დროის მცირე მონაკვეთში უამრავი პრაქტიკული საკითხის მოგვარება: პარტიულ სიებში ლიდერების, „წინა ეშელონის“ დაზუსტება, მხარდამჭერ ჯგუფებთან პოლიტიკური კავშირებისა და შეთანხმებების გაფორმება, საარჩევნო კამპანიის ორგანიზაცია, მისი დაფინანსება და სხვა.

ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ექნება პოპულარული ლოზუნგების „მიტაცებას“ (სახელმწიფოში წესრიგის დამყარება, იურისდიქციის აღდგენა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ორგანიზებულ დანაშაულებებთან — ორგანიზებული ბრძოლა, ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელება და ამ რეფორმათა სირთულეებისგან მოსახლეობის სოციალური დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფა და სხვა), აგრეთვე ამომრჩევლების დარწმუნებას იმაში, რომ მხოლოდ ამ პარტიას შეუძლია წინასაარჩევნო დაპირებებისთვის პრაქტიკული ხორცშესხმა.

არჩევნების მოახლოების კვალობაზე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ძალთა განლაგების საერთო სურათისთვის კიდევ ერთხელ თვალის შევლება.

მემარჯვენეთა ფლანგზე ძალთა სერიოზული კონცენტრაცია ჯერ კიდევ 1993 წლის ნოემბერში დაიწყო, როდესაც ჩამოყალიბდა ლიბერალურ-კონსერვატორული კოალიცია. მასში ხუთი ორგანიზაცია გაერთიანდა: ტრადიციონალისტთა კავშირი (ამ პერიოდისთვის ისინი ჯერ კიდევ არ იდგნენ ცენტრისტულ პოზიციებზე), კონსერვატორულ-მონარქისტული პარტია, „ქარტია-91“; ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და მერაბ კოსტავას საზოგადოება.

კოალიციის შექმნა ბევრმა მოქალაქეთა კავშირის შექმნის საპასუხო ნაბიჯად მიიჩნია, თუმცა, მასში შემავალ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მიიჩნევდნენ, რომ მათ დაახლოებას საკმაოდ მტკიცე იდეოლოგიური საფუძველი გააჩნდა, კერძოდ: 1) გახლეჩილი ეროვნული ცნობიერების უსწრაფესი გამთლიანების, როგორც ქართული პოლიტიკური აზროვნების მთავარი ამოცანის, გაცნობიერება; 2) პოლიტიკური მსოფლმხედველობის ზოგადი ლიბერალურ-კონსერვატორული მიმართულება და 3) ძლიერი საპარლამენტო მმართველობის აუცილებლობის შეგრძნება. „დღეს ეს პროცესი უნდა დაიწყოს და ჩვენ მზად ვართ, ერთობლივი ძალისხმევით ხელი შევუწყოთ მათ განვითარებას“, — იუწყებოდა ამ კოალიციის დეკლარაცია.

მაგრამ ლიბერალურ-კონსერვატორული კოალიცია შიდაუთანხმოების გამო მალე დაიშალა და მემარჯვენეთა ბანაკში ძალთა ახალი გადაჯგუფება დაიწყო: სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია და „ქარტია-91“ გასული წლის ზაფხულში გაერთიანდნენ ერთ ორგანიზაციად, რომელსაც გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ეწოდა.

მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის ვ.ძაბირაძის განცხადებით, „იდეოლოგიური და პოლიტიკური სხვაობები გაერთიანებულ პარტიებს შორის იმ რანგისა არ არის, რომ გაერთიანების საწინააღმდეგო არგუმენტად გამომდგარიყო“, — თუმცა, არ დაუმალავს, რომ „გაერთიანება ვერ მოხერხდებოდა, რომ არა ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა“.

პარტიის პოლიტიკური მდივანი დ.ბერძენიშვილი შიდაპარტიულ სიტუაციას ასე ახასიათებს: „გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობა, რომელიც მიმდინარე წლის 8-9 ივლისს ჩატარდა, იყო ერთი წლის წინ დაწყებული გაერთიანების დასასრული. ჩვენ დიდი მუშაობა ჩავატარეთ რეგიონებში, სადაც მოხერხდა შექმნილიყო ერთიანი რეგიონული ორგანიზაციები... მალე შეიქმნება პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებული იქნება მოზარდი თაობა, რომლის ინტელექტუალური რეიტინგი ძალზე მაღალია. ყრილობამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სიცოცხლისუნარიანობა. რაიმე სერიოზული პრობლემა დღეს პარტიას არ ემუქრება“.

რამდენიმე შტრიხი „გაერთიანებაში“ შემავალ ორგანიზაციებზე: „ქარტია-91“-ის პოლიტიკური პლატფორმა და პოზიცია ხშირად ცვალებადია. უნდა გავიხსენოთ მათი ერთგვარი ალიანსი ეროვნულ-დემოკრატებთან, რომელიც თ.სიგუას პრემიერმინისტრად დამტკიცების დროს გამომჟღავნდა. მოგვიანებით „ქარტია-91“ ლიბერალურ-კონსერვატო-



ვახტანგ რჩეულიშვილი

რულ კოალიციაში შევიდა, შემდეგ კი ამ კოალიციასთან ჩამოყალიბებულ საპარლამენტო ცენტრში. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობაზეც ქარტიელები უკმაყოფილონი დარჩნენ პირველი პირის არჩევის წესით, რამაც „მატერიალური გამოხატვა“ იმაში ჰპოვა, რომ არც ერთი ქარტიელი არ შევიდა პარტიის მმართველ ორგანოში — 11-კაციან ეროვნულ კომიტეტში და ცალკე პარტიული ფრაქციის შექმნას აპირებენ.

სახალხო ფრონტმა ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე ხმების საკმაოდ დიდი რაოდენობა მიიღო და შესაბამისად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მრავალრიცხოვანი დეპუტაციით

იხილეთ მე-3 გვერდი

## გაზეთ «კავკასიონის» რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ!

ვისაც საქართველოში მეწარმეობის და ბიზნესის ბედი აწუხებს, ვინც ამ საქმეს მისდევს და საკუთარ თავზე უწნევია მასთან დაკავშირებული ყველა სიძნელე, შეუძლებელია არ ეთანხმებოდეს პატონს თქვენი გაზეთის მ/წლის 9 აგვისტოს 145-ე ნომერში გამოქვეყნებული სტატიისა — „რისთვის იქმნება კანონები და ნორმატიული აქტები?“ ამ წერილის სათაურს მხოლოდ ერთს დავამატებდით — ვისთვის? ცნობილი იგავისა არ იყოს, ფიცით-მტკიცით თითქოს ყველაფერი კეთდება სამეურნეო ურთიერთობებზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, მათ შორის მეწარმეობის განსავითარებლად, ბოლო კი მართლაც საკვირველია: არსებული კანონმდებლობა ხშირ შემთხვევაში არათუ ამუხრუჭებს, არამედ მნიშვნელოვანწილად აზრს უკარგავს ყოველგვარი საქმის წამოწყებას და მხოლოდ შავანთა ჯიბის გასქელების წყაროა. სწორედ ასეთთა ნუსხას განეკუთვნება რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 ივნისის №394 დადგენილება.

მაგალითი გნებავთ? ინებეთ.

მ/წლის ივლისში ქ.თბილისის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის კონტროლის განყოფილების მიერ ჩატარებულმა რევიზიამ იურიდიულ პირებზე ნაღდ ანგარიშსწორებად ჩაგვირთვალა და ბიუჯეტის სასარგებლოდ 25%-იან ამოღებას დაუქვემდებარა ფაქსების გაგზავნა-მიღება და საერთაშორისო სატელეფონო საუბრებზე გაწეული ხარჯები. მოვიყვანთ ციტატას თქვენს გაზეთში დასტამბული სტატიიდან: „საგადასახადო სამსახური არაფ აგდებს მეწარმეთა და ბიზნესმენთა აპელაციას იმის თაობაზე, რომ ბანკები გაუმართავად მუშაობენ“. არადა, ჭეშმარიტად — „ვინ უნდა იყოს ჩვენზე უფრო დაინტერესებული საბანკო სისტემის მოწესრიგებით?“

საბანკო სისტემა გამართულად რომ ფუნქციონირებდეს, რა გვიჭირდა! მაგრამ, ასე რომ არ არის... საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ დადგენილების ავტორებს საზღვარგარეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან კონტაქტები კავშირგაბმულობის საშუალებებით, ბანკის მეშვეობით. განა მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულმა კაცმა არ უწყის, რომ დღეისთვის არავითარი საშუალება არ არსებობს ღამის საათებში მიიღო ან გაგზავნო ფაქსი, ტელეფონით ესაუბრო უცხოელ პარტნიორს ნაღდი ანგარიშსწორების გარეშე? რა ვქნათ — უარი ვთქვათ ოპერატიულობაზე და უსასრულოდ ველოდოთ როდის მიაღწევს გადარიცხული თანხა ბანკიდან კავშირგაბმულობამდე, ანუ, არსებითად, ჩავშალოთ მუშაობა? ნუთუ ეს ვინმეს, თუნდაც იგივე საგადასახადო სამსახურს ხელს მისცემს?

და, კიდევ — რომელი ყაირათიანი კაცი ამჯობინებს ნაღდი ანგარიშსწორების მაგივრად ბანკს მიაკითხოს, როდესაც ეს უკანასკნელი საბანკო მომსახურების ტარიფს სამჯერ და მეტს იღებს ფაქსის ღირებულებასთან შედარებით! იქნებ, მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში, სხვა მრავალთან ერთად, ამ კაზუსსაც მიექცეს ყურადღება.

როდის დადგება ის დრო, რომ მოხდება „...ყველა ნორმატიული აქტის, განკარგულებისა თუ დადგენილების კარგად მოაზრება და მათი მიღებისას საქართველოში არსებული ვითარების და კონიუნქტურის მაქსიმალურად გათვალისწინება“. სხვაგვარად, ქართველი მეწარმეები და ბიზნესმენები ამჟამადაც უმძიმეს დღეში არიან.

საქართველო-ლიხტენშტეინის ერთობლივი საწარმოო „ბრეგორი [illegible] კომპანია“-ს დირექტორი

გ. თევზაძე

## * გამოხმაურება *

მთლიანად ვეთანხმები [illegible] გაზეთში ა.წ. 9 [illegible] გამოქვეყნებულ პაატა ვეშაპიძის სტატიაში, „რისთვის იქმნება კანონები და ნორმატიული აქტები“ [illegible] პრობლემებს. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 ივნისის № 294 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძღოლის შესახებ“ საჭირო ნორმატიული დოკუმენტაცია, მისი მოთხოვნა, რომ: „საწარმოო ვალდებულია თავისი ფულადი სახსრები შეინახოს საბანკო დაწესებულებებში; ანგარიშსწორება იურიდიულ პირებს შორის ხორციელდებოდა უნაღდო წესით: საბანკო დაწესებულებათა მეშვეობით, ნაღდი ფულით ანგარიშსწორება დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში“, და ა.შ. მოსაწონია და აუცილებლად შესასრულებელი, მაგრამ არ არის გათვალისწინებული, დღეისთვის საქართველოში არსებული პირობები: თითქმის არ არსებობს უნაღდო ანგარიშსწორებით მომუშავე დაწესებულებები, თუ ერთეულები არსებობენ, ძალიან მწირია მათი ასორტიმენტი, ხოლო ფასები ორჯერ და უფრო მეტად გაზრდილია, საქართველოს გარეთ გადარიცხვითი ანგარიშსწორება ძალიან გაძნელებულია, დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან (ზოგჯერ გადასარიცხი თანხის 20-30 პროცენტები და მეტი) და დროის ფაქტორთან დიდი დაგვიანებით მიდის ადრესატთან). ხშირია დაკარგვის ფაქტები და ასეთ შემთხვევებში დაკარგული თანხების დაძებნა ხარჯებთანაა დაკავშირებული. ერთეულ შემთხვევებში კი უშედეგოა. ჩვენი ბანკები, სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, ჯერ კიდევ ვერ პასუხობენ მოთხოვნებს. ინერგება მომსახურეობის პროგრესული მეთოდები, მაგრამ ელექტროენერგიის ხშირი გამორთვების და მომსახურე პერსონალის დაბალი კვალიფიკაციის გამო, სათანადო ეფექტი არ მოაქვთ, ხშირია აღნიშნული მიზეზით გადარიცხვების თუ სხვა სახის მომსახურეობის დაგვიანების შემთხვევები. მომსახურე ბანკები, ან სხვა სამსახურები, თითქმის ვერ აკეთებენ ინკასაციას, თუ კეთდება, დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. საწარმოების მიერ დროებითი დებულებით განსაზღვრულ ვადაში (არა უგვიანეს მომდევნო დღის დილისა) საბანკო დაწესებულებაში თანხების შეტანა გაძნელებულია. საჭიროა ტრანსპორტი, დაცვა. საწარმოს მიერ შეტანილი თანხის უკან გამოტანა, იმავე დღეს თითქმის შეუძლებელია (რიგია თანხის შეტანა-გამოტანაზე). თუ მოხერხდა, კვლავ საჭიროა ტრანსპორტი და დაცვა. გარდა აღნიშნულისა, მომსახურე ბანკები კლიენტებისგან ახდენენ გამოტანილი თანხის 1,5 პროცენტების ჩამოწერას მომსახურეობისთვის, რაც ასევე ხარჯად აწვება საწარმოებს.

აღნიშნული დროებითი დებულების 1.5 მუხლი განმარტავს: „საწარმოს უფლება აქვს სალაროში იქონიოს ნაღდი ფული სალაროს ნაშთის დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში და ნაღდი ფული ამონაგებიდან, დაიხარჯოს დადგენილი ნორმის მიხედვით. სალაროს ნაშთის ლიმიტებს დაამტკიცებენ და ამონაგებიდან ნაღდი ფულის ხარჯვის ნორმებს დაადგენენ საბანკო დაწესებულებები საწარმოთა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

ამონაგებიდან ნაღდი ფულის ხარჯვის ზღვრულ ნორმებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი“.

დებულებაში ყველაფერი ნათლად არის განმარტებული, მომსახურე ბანკები საწარმოს უმტკიცებენ სალაროს ნაშთის ლიმიტს, მაგრამ ამონაგები თანხის ადგილზე დახარჯვის ნორმებს ვერ უდგენენ, იმ მოტივით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკიდან არ არის დაშვებული ნაღდი ფულის ხარჯვის ზღვრული ნორმები. აღნიშნული საკითხი დაზუსტებას მოითხოვს.

მკითხველი ისე ნუ გაიგებს, რომ ადგილობრივი შემოსავლების ბანკის გვერდის ავლით დახარჯვას ვითხოვდე, რასაკვირველია, არა. მაგრამ შეუძლებელია, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებში, აღნიშნული დარღვევების თითქმის დანაშაულთან გათანაბრება და მაღალი საჯარიმო სანქციების მიყენება გამართლებული იყოს.

მით უფრო, საერთოდ მიღებული წესი. ნორმატიული აქტი ჯერ დაყვანილი უნდა იქნას აღნიშნული დოკუმენტური აქტის უშუალოდ შემსრულებელზე და ამის მერე უნდა ხდებოდეს კონტროლი მის შესრულებაზე.

ახლო წარსულში, როდესაც სახალხო მეურნეო მთლიანად სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენდა, კოოპერაციის და კოლმეურნეობებს მაკორდინერებელი ცენტრები ჰქონდათ, ნორმატიული აქტები სამინისტროებისა და უწყებების საშუალებით დაყვანილი იყო უშუალოდ შემსრულებლებამდე. დღეს, კერძო სექტორის არსებობის პირობებში, ყოველივე აღნიშნული გაძნელებულია. საგადასახადო ინსპექცია და სამართალდამცავი ორგანოები მთელი სიმკაცრით ავრცელებენ საჯარიმო სანქციებს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევს საწარმოების (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო) ხელმძღვანელთა მხრიდან.

სასამართლო ექსპერტიზის კვლევით, დასკვნის გასაცემად შემოსულ მასალებიდან ირკვევა, რომ ცალკეულ შემთხვევებში საგადასახადო ინსპექციის მუშაკები არასწორად განსაზღვრავენ დარღვევის დაშვების პირველ და განმეორებით შემთხვევებს. განმეორებით დარღვევად მიიჩნევა ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ განმეორებული ფაქტი და არა პირველი ოპერაციის შემდეგ ჩატარებული დანარჩენი საბუღალტრო ოპერაციები.

ერით გაუგებრობასაც აქვს ადგილი. აღნიშნული დროებითი დებულების პირველ გამოშვებაში მუხლი № 4.9 შემდეგი რედაქციით არის ჩამოყალიბებული, „არამიზნობრივად გამოყენებული თანხის 60% პროცენტის შესაბამისი ბიუჯეტების სასარგებლოდ ამოღების მიზნით“, რითაც ხელმძღვანელობს საგადასახადო ინსპექცია.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის № 6 აქტების კრებულში გამოქვეყნებულ აღნიშნულ დროებით დებულებაში საჯარიმო სანქცია განსაზღვრულია 50 პროცენტით.

ყურადსაღებია აღნიშნული დროებითი დებულების მუხლი № 4.7-ის მოთხოვნა: საწარმოოს მიერ დაწესებულ ვადაში ამონაგები თანხის საბანკო დაწესებულებებში ჩაუბარებლობის ფაქტების გამოვლენის შემთხვევები ეცნობება შესაბამის საგადასახადო ინსპექციებს, ჩაუბარებელი თანხის დადგენილი წესით რესპუბლიკური ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღების მიზნით“. სხვა დროს ანალოგიურ შემთხვევებში ინერგებოდა „აღნიშნული თანხა ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას“.

«იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრის ექსპერტ-ბუღალტერი

მურმან ბვასალია

გაზეთი
კავკასიონი
# საუწყებო ფურცელი

**შუამავლობა, ყიდვა, გაყიდვა, გაცვლა, გაქირავება!**
**სახლები... მაღაზიები... ოფისები... საელჩოები...**

**იყიდება**

**ოფისები**

ქალაქის ცენტრის ცენტრში
ბრანდიოზული შენობა
საელჩო... წარმომადგენლობა...
კონცერნი...
ფასი შეთანხმებით.

ცენტრში, პროსპექტზე,
ბანკისთვის, მაღაზიისთვის, ოფისისთვის
საუკეთესო ფართი, 600 კვ.მ. ჭერი
8 მეტრი

აღმაშენებლის გამზირზე—საოფისე
ძალიან კარგი ადგილია, ძალიან კარგი
ფართია, ძალიან იაფია
გირჩევთ შეიძინოთ!!!

იყიდება ნაღდ ქალაქში
სოლოლაკში
«ივერთბანკთან»
დიდი, დიდი, დიდი,
7 ოთახიანი ბინა (240 მ2).
ფასი $59000.
(მანსარდის პერსპექტივით, სარემონტო).
გირჩევთ შეიძინოთ!

იყიდება
ვაკეში 3-ოთახიანი
№1 „მჟავანაძის" სახლშია? — არა!
№2 „პატიაშვილის" სახლშია? — არა!
№3 „..." სახლშია? — დიახ!
ფასი 50 000 დოლარი
გირჩევთ შეიძინოთ!
ახეთი ბინები იშვიათია!!!

საბურთალოზე
ანაგის ქუჩაზე 4-ოთახიანი ბინა, 200 კვ.მ.
მაღალჭერიანი
ფასი 55 000 დოლარი

ფიქრის გორაზე
3+1 ბინა
ფასი 49000 დოლარი
გირჩევთ შეიძინოთ!

**იყიდება**
ვაკეში
ფალიაშვილზე
გამლილი
კუთხის
ნათელი...
5-ოთახიანი ბინა
ფასი 99 000 დოლარი.

უცხოელი მყიდველი ეძებს
ვაკეში
ვერაზე
დიდ სახლს ან ბინას.
ფასი ნებისმიერი

**ვიყიდი**
კარგ
ოფისს!
ოფისს! ოფისს!...

მოგვმართეთ
მისამართზე
ჭავჭავაძის
გამზირიდან
გალაკტიონის
ძეგლის
პირდაპირ
«წყალპროექტში»
მეორე
სართული
ტელ: 22-12-57
23-33-09



გაზეთი
სარეკლამო სააგენტო
ვიწვევთ სამუშაოდ სარეკლამო
აგენტებს!
ანაზღაურება – მაღალი ჰონორარი!!!

ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს მართვის კომპიუტერული ცენტრი ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებებს სთავაზობს:
1. თქვენთვის საჭირო სამედიცინო სტანდარტების კომპიუტერიზაციას და განფასებას ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით.
2. ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში შემოსულ ავადმყოფთა აღრიცხვისა და მედპერსონალის დატვირთვის ანალიზის პროგრამა, სადაზღვევო ანგარიშიან ურთიერთობათა პირობებში.
ჩვენი მისამართია: ჯანდაცვის სამინისტროს მართვის კომპიუტერული ცენტრი, ქ.თბილისი, გამსახურდიას გამზ. 130, ოთახი №103, 105. ტელ: 38-57-08, 38-61-76

ასოციაცია «იოსებიძე-90» გთავაზობთ საბურთალოს რაიონში იოსებიძის ქ.№64-ში მშენებარე ბინებს. სადაც ბინათმშენებლობის ასოციაცია აშენებს მაღალსართულიან სახლს დიდი კომფორტაბელური ბინებით – შეღავათიან ფასებში.
მშენებარე სახლის ადგილზე მცხოვრებლებისთვის გვჭირდება მზა ბინები 2-3-ოთახიანი საბურთალოზე და დიდუბის რაიონში. ამ ბინების მაგიერ თქვენ მიიღებთ უფრო დიდი ფართობის საუკეთესო ბინებს.
ტელ: 37-34-41.

პრივატიზაცია

## პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია
### №11 აუქციონზე წარდგენილ საწარმოთა სია

განაცხადები მიიღება 1995 წ. 13 სექტემბრიდან 26 სექტემბრის 17 საათამდე,1 აქციის ნომინალური ღირებულება 1000 კუპონს 1,46 აშშ დოლარს
, აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია

| № | აუქც. | საქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | პროცენტი საწესდებო კაპიტალთა | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავებული მიწის ფართობი ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | XI | 65. „აგარის საკონსერვო ქ-ნა" | 552800 | 262000 | 47,4 | 383041 | 470-065 | ქარელის რ-ნი, დაბა აგარა | ზ.ციციანი | 27 |
| 2. | XI | 45. „უნივერსალი" (ქუთ.საცდ.-მექან. ქ-ნა) | 151499 | 73000 | 48,19 | 106725 | 480-045 | ქუთაისი, სულხან-საბას 7 | გ.მაჩიტაძე | 2,48 |
| 3. | XI | 60. „თამბაქოს საფერმენტ. ქ-ნა „ჰერეთი" | 153454 | 66000 | 43,01 | 96491,2 | 290-060 | ლაგოდეხი, 26 მაისის 33 | ჯ.მოდებაძე | 7,8 |
| 4. | XI | 21. „ჩითახევი-ბორჯომი" | 359583 | 126000 | 35,04 | 184211 | 130-021 | ბორჯომი, კოსტავას 2 | ზ.ლაზარაშვილი | 27 |
| 5. | XI | 70. „ფეიქარი" (ხონის აბრეშ.ძაფსაღ.-საგრ.ფ) | 111528 | 39100 | 35,06 | 57163,7 | 620-070 | ხონი, გამარჯვების 58, ტ. 22565 | ზ.ჭანტურიშვილი | 1 |
| 6. | XI | 71. „ამირანი" (ხონის საკონსერვო ქ-ნა) | 98947 | 43000 | 43,46 | 6286,5 | 620-071 | ხონი, წულუკიძის 7, ტ. 21439 | ა.რუხაძე | 1,2 |
| 7. | XI | 451. „იმედი" (სამტრედ.ხორცკომბინატ.საიჯ.საწ.) | 98533 | 43000 | 43,64 | 62865,5 | 410-451 | სამტრედია, კიკვიძის 65, ტ. 23136 | ი.ლეკვეიშვილი | 2 |
| 8. | XI | 73. „იმერეთი" (ხონის ჩაის კ-ტი) | 115756 | 54000 | 46,65 | 78947,4 | 620-073 | ხონი, ბაგრატიონის 81, ტ. 21385 | რ.შონვაძე | 3,5 |
| 9. | XI | 138. „საფარი" (საგზ.მეურნე.ქვესაწ.) | 147127 | 66000 | 44,86 | 96491,2 | 238-138 | ქინძმარაულის 16, ტ. 715108, 713136 | გ.დარჩიანი | |
| 10. | XI | 116. „წინწყარო" (წინწყაროს საინსტრ. ქ-ნა) | 95072 | 33300 | 35,03 | 48684,2 | 240-116 | თეთრიწყაროს რ-ნი, ს.წინწყარო | ნ.ამურველაშვილი | 2,2 |
| 11. | XI | 276. „იმერეთი" (ზესტ.ს.ქვ.საზანოს ს.კ.ფ.) | 18796 | 8500 | 45,22 | 12426,9 | 210-276 | ზესტაფონი, სოფ.ქვედა საზანო | ა.ოდიკაძე | 2 |
| 12. | XI | 137. „სამტრედიის ჩაის კ-ტი" | 331278 | 141000 | 42,56 | 206140 | 410-137 | სამტრედია, გამსახურდიას 35 | დ.ნადირაძე | 5 |
| 13. | XI | 103. „საამო" (ჩხოროწყუს №2 ჩაის ფ-კა) | 145280 | 67000 | 46,12 | 97953,2 | 550-103 | ჩხოროწყუ, ქებურიას 34, ტ. 22161 | ა.ლემონჯავა | 3 |
| 14. | XI | 142. „ტამი" (რუსთ.ამწემშენებელი ქ-ნა) | 1825125 | 692000 | 37,92 | 1011696 | 390-142 | რუსთავი, დავით გარეჯის 36 | ა.სირაძე | 13,84 |
| 15. | XI | 147. „მშენებელი-21" (სსსტ „საქავეჯმშენი") | 83772 | 33000 | 39,39 | 48245,6 | 238-147 | ქინძმარაულის 15 | თ.ებრალიძე | 0,58 |
| 16. | XI | 190. „იმერეთი" (სამტრედიის ხის დამ.კ-ტი) | 2650348 | 1250000 | 47,16 | 1827485 | 410-190 | სამტრედია, კოსტავას 31, ტ. 23124 | თ.შუბლაძე | 25 |
| 17. | XI | 205. „ხვირი" (ზესტაფ.მეორე ხვირის ღვ. ქ-ნა) | 96986 | 46000 | 47,43 | 67251,5 | 210-205 | ზესტაფონის რ. სოფ.მეორე ხვირი | ო.თუთარაშვილი | 5 |
| 18. | XI | 221. „კედარი" (ქუთ.ხე-ტყის და ქაღ.საწ.) | 32967 | 15000 | 45,5 | 21929,8 | 480-221 | ქუთაისი, გუგუნავას 16 | ნ.ხუხუა | 2,7 |
| 19. | XI | 273. „მექანიკოსი" (ზესტაფ.სარემ.-მექანიკ.ქ-ნა) | 11649 | 4100 | 35:2 | 5994,15 | 210-273 | ზესტაფონი, სოფ.არგვეთა, ტ. 55103 | თ.ცხადაძე | 0,1 |
| 20. | XI | 117. „მოწამეთა" (ქუთ.სამშ. და არამადნ.მას.კ-ტი) | 84426 | 38000 | 45,01 | 55555,6 | 480-117 | ქუთაისი, კლდიაშვილის 135 | თ.მეტრეველი | 3 |
| 21. | XI | 279. „თაიგული" (ჩოხატაურ.№1 ჩაის ფ-კა) | 141869 | 66000 | 46,52 | 96491,2 | 540-279 | ჩოხატაური, გურამიშვილის 10 | ი.სულაბერიძე | 5,16 |
| 22. | XI | 329. „არომატი" (სენაკის ჩაის კ-ტი) | 174257 | 80000 | 45,91 | 116959 | 430-329 | სენაკი, იპოდრომის 8, ტ. 22936 | გ.ფირცხალავა | 1,8 |
| 23. | XI | 400. „ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკა" | 364841 | 171000 | 46,87 | 250000 | 220-400 | ზუგდიდი, სოფ.რუხი, ტ. 22699 | რ.ნარმანია | |
| 24. | XI | 401. „გემო" (ჩხოროწყუს საკონს. ქ-ნა) | 51875 | 19000 | 36,63 | 27777,8 | 550-401 | ჩხოროწყუ, წურწუმიას 40 | თ.ხორავა | 1 |
| 25. | XI | 415. „ნარინჯი" (ლანჩხუთ.ყველკარაქის ქ-ნა) | 11037 | 3900 | 35,34 | 5701,75 | 300-415 | ლანჩხუთი, თაბუკაშვილის 3 | მ.წილოსანი | 1,2 |
| 26. | XI | 434. „ლილო" (ლილოს საშენ მასალათა კ-ტი) | 395056 | 154000 | 38,98 | 225146 | 238-434 | ლილოს დას.ჭირნახულის შეს.7 | თ.ჩიკვაიძე | 5 |
| 27. | XI | 72. „კოლხეთი" (ხონის ჩაის №2 ფ-კა) | 221432 | 107000 | 48,32 | 156433 | 620-072 | ხონი, დავით აღმაშენებლის 118 | გ.სანოძე | 3,2 |
| 28. | XI | 466. „ტრანსპორტელი" (ჩოხატაურის ასს) | 70935 | 25000 | 35,24 | 36549,7 | 540-466 | ჩოხატაური | თ.შარაშიძე | |
| 29. | XI | 683. „პლასტიკა" („თბილპოლიმერკონტეინერი") | 146020 | 65000 | 44,51 | 95029,2 | 232-683 | ჯიქიას 4 | რ.თავაძე | 1,8 |
| 30. | XI | 743. „თბილქალაქმშენი" („თბ.ქალ.მშ."-ს ორგ-ბი) | 37317 | 15000 | 40,2 | 21929,8 | 231-743 | სურამის 1 | თ.ჯანაშია | |
| | | | | | | | | | | |
| | | სულ: | 8779565 | 3805900 | | 5564181 | | | | 153,6 |

# საუწყებო ფურცელი


## ვაგრძელებთ კერძო განცხადებების უფასოდ განთავსებას. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58



### ვყიდი

- საკუთარ სახლს დმანისში ტელეფონით, თბილისიდან 85 კმ-ზე. მუშაობს გათბობის სისტემა, საკარმიდამო ნაკვეთი 5 მეასედი, ცალკე ნაკვეთი 10 მეასედი. ტელ: 68-60-27, 22-14-28.
- 1-ოთახიან ბინას გადაკეთებულს ოროთახიანად თამარაშვილის ქუჩაზე (იპოდრომის გვერდზე) მე-3 სართულზე. ფასი 10 000 დოლარი.
- დიღმის ქუჩის დასაწყისში 16-სართულიანი სახლის მე-13 სართულზე 3-ოთახიან ბინას. გამოცვლილი აქვს ხის მასალა. არის ჩაშენებული კარადები. საერთო ფართი 114 კვ.მ. ჭერი — 2,75 მ. ფასი 26 000 დოლარი.
- საკუთარ სახლს სპორტის სასახლესთან. საცხოვრებელი ფართი 72 კვ.მ. საერთო ფართი 210 კვ.მ. ფასი 17 000 დოლარი.
- სასწრაფოდ 3-ოთახიან ბინას. ჭერი 3,60 მ. საერთო ფართი 110 კვ.მ. მუხის პარკეტით, რკინის კარებით მარჯანიშვილის თეატრის მიმდებარე ტერიტორია.
- სვანეთის უბანში 4-ოთახიან სახლს დამხმარე სათავსოებით. ეზოში არის მშენებარე ორი სახლი. ეზო 1100 კვ.მ. სარდაფით, გარაჟით. ტელ: 65-35-50.
- [illegible] ხეობაში საუკეთესო ადგილას, წალკის კრწანისის ძირში ხის ორსართულიან სახლს ეზოთი. შეიძლება სეზონური გაქირავება. ტელ: 37-27-19 იკითხეთ თენგიზი.
- მეტრო „ღრმაღელესთან“, ვარდისუბნის ქ.№15 2-ოთახიან, შუშაბანდიან სახლს ბელეტაჟზე. ეზო 640 კვ.მ. ტელ: 60-82-35, იკითხეთ კახა.
- ნაძალადევის რაიონში, დიდი ჯიხაიშის ქუჩაზე, კაპიტალურ სახლში სამოთახიან კერძო ბინას საკუთარი ცხელი წყლით, გათბობით, ტელეფონით, წინ პატარა ეზოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 30-03-27, დარეკეთ საღამოს.
- ვარაზისხევში 4-ოთახიან ბინას ლოჯიით, კეკელიძის ქუჩაზე. ფასი 45 000 დოლარი. ტელ: 29-07-56, იკითხეთ ნანა.
- **4-ოთახიან ბინას ბარნოვზე, ვერაზე, საუკეთესო ადგილას. საერთო ფართი 160 კვ.მ. ჭერი 3 მ. ფასი 65 000 დოლარი.**
- **300 კვ.მ. ფართის ბინას ფანასკერტელზე შეღავათიან ფასებში.**
- **3-ოთახიან, ტიპიური კუთხის ბინას მიშენებით, აივნით, რკინის კარებით, ტელეფონით, საბურთალოს ქ.№39-ში. ტელ: 38-81-30, 51-30-43.**
- არატიპიური პროექტის 1-ოთახიან, იზოლირებულ ბინას დიღმის მასივში, მესამე კვარტალში, ხიდთან ახლოს, მეტროდან 10 წუთის სავალზე 14-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე; კუთხის ბინა. ოთახი 21 კვ.მ. სამზარეულო 9 კვ.მ. [illegible] 6 კვ.მ. ღია აივნებით, ტელეფონით. ფასი 6000 დოლარი. ტელ: 98-46-84.
- მეტრო „დელისთან“, საბაგიროსთან ახლოს საკუთარი სახლის იზოლირებულ ნახევარს ხეხილის ბაღით, გარაჟით, ტელეფონით, მუდმივი ცხელი წყლით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-[illegible]-22
- დიდუბეში, მეტრო „წერეთელთან“ 2-ოთახიან, მაღალჭერიან კუთხის ბინას გარაჟით, ტელეფონით, 4-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ფასი 12 500 დოლარი. ტელ: 95-02-31.
- დოლიძის ქუჩაზე ოროთახიან, გარემონტებულ არატიპიურ ბინას, რომელიც გადაკეთებულია სამოთახიანად, ავტომანქანის სადგომით, სარდაფით ტელეფონით. ფასი 20 000 დოლარი. ტელ: 36-30-36
- სამოთახიან ბინას 5-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე, ელიავას ქ.№30, საბურთალოს ხიდთან და მეტრო „წერეთელთან“ ახლოს. ახლად გარემონტებული, რკინის კარებით, ჟალუზებით, გამოცვლილი კარ-ფანჯრით, სახლში დამონტაჟებულია ცხელი წყალი. ოთახები 27+22+17, სამზარეულო 14 კვ.მ. აბაზანა 9 კვ.მ. ორი აივნით. მუდმივად არის ელექტროენერგია. ფასი 21 000 დოლარი. ტელ: 34-62-88.
- სიმონ ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) ქუჩაზე №19-ა კერძო ბინას, რომელსაც აქვს პატარა ეზო. საერთო ფართი 180 კვ.მ. საცხოვრებელი 78 კვ.მ. აქვს სათავსოები. ეზო იზოლირებულია. სახლი ბელეტაჟზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 36-17-03, იკითხეთ ხულიკო (საღამოს საათებში).
- წეროვანში აგარაკს ორსართულიანი სახლით, გათბობით, კეთილმოწყობილს უაღრესად მაღალ დონეზე და საიმედოდ ნაშენებს. 600 კვ.მ. მიწის ფართობით, უზრუნველყოფილია წყაროს წყლით და 40 მ სიღრმის არტეზიული ჭით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-24-26, დღის ნებისმიერ დროს.
- 3-ოთახიან (28+20+15) მაღალჭერიან სუფთა ბინას, მუხის პარკეტით, კედლის ლუმელით, საკაბელო ტელევიზიით, აივნით, ყველანაირი სათავსოთი, ტელეფონით, სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით ეზოში. ფასი 18 000 დოლარი. მისამართი გ.ტაბიძის 7. ტელ: 99-75-13.
- საბურთალოზე, ყაზბეგის გამზირის დასაწყისში, მეტრო „სამედიცინოსთან“ 3-ოთახიან კუთხის სუფთა ბინას ხუთსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ჭერი 3 მ. საკვანძი ცალ-ცალკე, კაფელში. ფასი 25 000 დოლარი. ტელ: 37-01-66.
- **საქართველოს სულიერების ცენტრში, მცხეთაში, სვეტიცხოვლის გვერდზე, მდინარე მტკვრის ახლოს მშენებარე, დაუმთავრებელ, ორიგინალური სტილის, ლამაზი აგურის სახლს ეზოთი. ფასი 20 000 დოლარი. მისამართი: არსუკიძის II შესახვევი №3. ტელ.: 34-79-79.**
- აგარაკს ძეგვში — აგურის სახლი ბუხრით. ტელ: 34-46-07, იკითხეთ თინა.
- ოთახს 17 კვ.მ. თავისი შუშაბანდით ჩუღურეთის რაიონში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-28-94.
- სასწრაფოდ ზემო კიკეთში, „პალიანკაზე“ 100 კვ.მ. ორსართულიან სახლს 100 კვ.მ. ეზოთი, ავეჯით. ფასი 5000 დოლარი. ტელ: 98-69-29.
- 3-ოთახიან ბინას საბურთალოზე, მე-4 სართულზე. იატაკი გამოცვლილია. რკინის კარებით, ლოჯიით. დანარჩენი სარემონტოა. სადარბაზოს წინ 15 მეტრში 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე 100 კვ.მ. ნაგებობაა, პირველი სართული გადახურულია.
- ლოტკინის გორაზე, გორდის ქუჩაზე, 2-სართულიან, 200 კვ.მ. ფართის სახლს, ხეხილიანი ბაღით 400 კვ.მ. ფასი 16 000 დოლარი. ტელ: 38-78-94, 38-66-58.
- 2-ოთახიან გარემონტებულ ბინას ვაჟა-ფშაველას II კვ.-ის დასაწყისში, მე-8 სართულზე.
- 2-ოთახიან გარემონტებულ ბინას მე-2 სართულზე, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- 1,5-ოთახიან ჩეხური პროექტის ბინას არაჩვეულებრივი რემონტით გლდანულაში. ტელ: 95-31-62, იკითხეთ მედიკო.
- 2-ოთახიან ბინას, გადაკეთებულს 3-ოთახიანად, მიცკევიჩის ქუჩაზე, მე-6 სართულზე, ძველი რემონტით.
- 3-ოთახიან ბინას დიდი შუშაბანდით, 2 სარდაფით, თევდორე მღვდლის (ყოფილი ორჯონიკიძის) ქუჩაზე. ფასი 18 000 დოლარი.
- 2-სართულიან სახლს 5 ოთახით, სოფელ დილომში, 120 კვ.მ. ეზოთი, ბაღი 400 კვ.მ. სოფლის ცენტრთან ახლოს. ფასი 6000 დოლარი. მისამართი: სოფელი დილომი, კოტორაანთ უბანი, რობინზონ (თუხო) ქობულაშვილი.
- 2-ოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე. ჭერი 2,60 მ. საბურთალოს ქუჩაზე.
- ერთოთახიან, პრივატიზებულ ბინას გლდანის „ა“ მიკრორაიონში. ტელ: 37-39-62.
- **ან ვცვლი 3 ოთახიან ექსპერიმენტული პროექტის4 ბინას ზემო ფონიჭალიდან მეტროსადგურის ნებისმიერ სადგურთან ერთოთახიან ბინაზე (გაცვლის შემთხვევაში) ტელ: 93-18-84 ან 93-31-81 იკითხეთ ციალა**
- 3-ოთახიან ბინას პირველ სართულზე ორმხრივი მიშენებით, გოგირდის წყლით, საგარაჟე ადგილით, ტელეფონით, ბინიდან ჩასასვლელი 2 სარდაფით,ნუცუბიძეზე, საბაგიროსთან. ბინა სარემონტოა. ჭერი 2,60.
- ვაკეში, მაღალ ბელეტაჟზე, პირველი სართულის სიმაღლე 2,40, მეორე სართულის — 3,40. ზემოთ არის 3 ოთახი. ეზო 40 კვ.მ. ბინას აქვს ღია, გადახურული ვერანდა.
- 2-ოთახიან ბინას საბურთალოს ქუჩაზე, „ხრუშჩოვკა“, ჭერი 2,60, ქუჩიდან თითქმის მეორე სართული, რკინის კარებით, რკინის გისოსებით, ცხელი გოგირდის წყლით.
- ვერაზე 4-ოთახიან სუფთა ბინას 2 ბუხრის სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე.
- დიდ დიღომში 3-ოთახიან ბინას მე-11 სართულზე, 120 კვ.მ. ფართით, მეორე მიკრორაიონი.
- ბახტრიონის ქუჩაზე 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას მე-6 სართულზე, საერთო ფართი 120 კვ.მ.
- 17 კვ.მ. ოთახს ლოჯიით და სათავსოებით კუმისის ქუჩაზე. ფასი 2000 დოლარი. ტელ: 96-28-94.
- ნაძალადევის რაიონში კერძო ბინას, ბელეტაჟზე, 5 ოთახი, ხეივნით, თევზების აუზით, 100 კვ.მ. ეზოთი.
- 2-სართულიან სახლს ძალიან კარგი რემონტით ნაძალადევის რაიონში.
- იაფად საკუთარ სახლს პატარა ეზოთი ვაკეში.
- ვერაზე, მე-2 სართულზე 4-ოთახიან ბინას, გარემონტებული კაპიტალური გარაჟით, სარდაფით, ჭერი 3,40.
- 3-ოთახიან ბინას დიდუბის მეტროსთან მე-6 სართულზე, ჭერი 2,60;5-6 წლის რემონტით, სარდაფით, მანქანის ადგილით, ცხელი წყლით.
- 3-სართულიან კერძო სახლს პირველ-მესამე სართულზე, საერთო ფართი 125 კვ.მ. ბინა კარგად გარემონტებულია, კაპიტალური გარაჟით, 500 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი.
- ორსართულიან სახლს სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში 2000 კვ.მ. ეზოთი და ცალკე 2000 კვ.მ. ნაკვეთით. საწყისი ფასი 6000 დოლარი. ტელ: 99-32-85.
- ოთახნახევრიან კუთხის ბინას ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე. ფასი 12 000 დოლარი. ტელ: 29-23-94.
- **ორსართულიან, პატარა სახლს ნაძალადევში, მანქანის დასაყენებელი ადგილით, ტელეფონით. ტელ: 66-18-56, იკითხეთ მაია ან დათო.**
- მცხეთის ქუჩაზე, მაღალ ბელეტაჟზე ოთხოთახიან სარემონტო ბინას სარდაფით, დაშენების პერსპექტივით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-34-55.
- გადასასვლელ ხიდთან, პრავდის ქუჩაზე კერძო სახლს (ერთ ეზოში ორი ბინა), სამ-სამი ოთახით, შესაძლოა, გაიყიდოს ცალცალკე. სათავსოებით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-15-77.
- ერთოთახიან, მაღალჭერიან ბინას ლოჯიით ვერაზე, ფილარმონიის წინ, იტალიურ ეზოში, მანსარდის დაშენების პერსპექტივით. ფასი 6000 დოლარი. ტელ: 23-00-38.
- წყნეთში ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას. სამზარეულო, აბაზანა, ტუალეტით, საგარაჟე, საბოსტნე, სასარდაფე ადგილებით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის მიშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-86-55, 73-78-90.
- 2-სართულიან აგარაკს ნიჩბისში, მცხეთიდან 10 კილომეტრი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, 600 კვ.მ. ხეხილიანი ბაღი. ფასი 1500 დოლარი. ტელ: 38-01-11.
- დიდუბეში, მეტრო „წერეთელთან“ 2-ოთახიან, მაღალჭერიან, კუთხის ბინას 4-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე გარაჟით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-02-31.
- 5-ოთახიან (3+2) ჩეხური პროექტის ბინას რუსთავის შესასვლელში. მეორე სართულზე ტელეფონით, გარაჟით. ფასი 18 000 დოლარი. ტელ: 38-01-11.
- გარემონტებულ კერძო სახლს, საბურთალოზე, ლვოვის ქუჩაზე სარდაფით, გარაჟით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-01-11.
- ან ვცვლი ოზურგეთში, ქალაქის ცენტრში 2-სართულიან, კაპიტალურ სახლს 12X11. 600 კვ.მ. ეზოთი ოზურგეთის, ლანჩხუთის ან ჩოხატაურის რაიონის ნებისმიერ სოფელში 3-4-ოთახიან საცხოვრებელ სახლზე. საწყისი ფასი 9 ათასი დოლარი. ტელ: 6-57-41 (იკითხეთ ლიზა), 6-51-19 (იკითხეთ ჯიმშერი), 37-00-74 (იკითხეთ ანზორი ან სვეტა).

### ვყიდულობ

- სასწრაფოდ ორ ან სამოთახიან ბინას გლდანში 3500-4000 დოლარის ფარგლებში. მე-7, მე-8 მიკრორაიონებს და მეხუთე სართულის ზემოთ ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ: 38-12-21, 38-02-30, 93-16-37.
- 2-ოთახიან ბინას დიღმის მასივში ან დიდუბეში. ტელ: 30-03-27 (საღამოს საათებში).
- მიწის ნაკვეთს ან პატარა სახლს ეზოთი ვერაზე, სოლოლაკში, მთაწმინდაზე. ტელ: 99-70-78, იკითხეთ მანანა.
- სამოთახიან ფინურ სახლს. ტელ: 60-05-22.

### ვცვლი

- ერთოთახიან, არასტანდარტულ ბინას, საერთო ფართით 36 კვ.მ. ჭერი — 3,10 მ; (სანტექნიკა სარემონტოა), ორნახევრიან ბინაზე, ნუცუბიძის ფერდობზე, მე-3 მიკრორაიონში (რაიკომის მიდამოებში). ტელ: 38-76-14, იკითხეთ ნატა.
- ბინას დიდუბეში, ეკლესიის პირდაპირ, 5-ოთახიან ბინას კარგი რემონტით, გარაჟით და ოთახნახევრიან ბინას. საერთო ფართი 80 კვ.მ. მეორე-მესამე სართულზე საკუთარ სახლზე ეზოთი საბურთალოზე. ჩეხური პროექტი.

### ვაქირავებ

- **3-ოთახიან ბინას ვარკეთილი-3-ში,მეტროსთან ახლოს. ტელ: 72-25-26.**
- ერთოთახიან, იზოლირებულ, გარემონტებულ ბინას მეტრო „პოლიტექნიკურთან“ ავეჯით, ტელეფონით, მაცივრით. ტელ: 36-47-49.
- კაპიტალურ გარაჟს ორი მანქანის სადგომით ვაკეში, არაყიშვილის ქუჩაზე. ტელ: 98-66-63.
- ვაკეში, 2-ოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე. ფართი 37 კვ.მ. კინო „ყაზბეგთან“. ფასი 150 დოლარი. ტელ: 23-29-24.
- 6 ოთახს შუაგულ წყნეთში, ტრასასთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 72-40-59, იკითხეთ მარიკა.
- 1-ოთახიან, იზოლირებულ გარემონტებულ ბინას ვერაზე, ფილარმონიის პირდაპირ, მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-24-46, იკითხეთ ია.
- ბინას თამარაშვილის ქუჩაზე (უნივერსიტეტის სახლში), მე-4 სართულზე, შეღავათიან ფასში. ტელ: 22-64-21.
- 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას ვაკეში, მანქანის ადგილით და ცხელი წყლით. ტელ: 29-21-75.
- არასტანდარტულ გარემონტებულ 1-ოთახიან ბინას ყაზბეგის ქ.№18, მე-3 სართულზე, ტელეფონით. ტელ: 38-52-04, იკითხეთ ლეილა.
- გარემონტებულ 3-ოთახიან ბინას, საოჯახო ნივთებით, ვერაზე. ფასი 150 დოლარი. ტელ: 23-30-64, 38-32-44.
- 1 ან 2-ოთახიან იზოლირებულ ბინას თემქაზე, მე-3 მიკრორაიონში, მე-5 კვ. ტელ: 95-24-41.
- 1-ოთახიან ბინას საოჯახო ნივთებით ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტლის დასაწყისში. ტელ: 96-72-60.
- წერეთლის პროსპექტზე მე-8 კორპ. პირველი სადარბაზო, მე-4 სართულზე ოროთახნახევრიან ბინას. ტელ: 35-08-03.
- ერთოთახიან იზოლირებულ ბინას მეტრო „დელისთან“ ახლოს; რვასართულიანი სახლის მეხუთე სართულზე 40 დოლარად. ტელ: 74-48-92, იკითხეთ მაგული.
- **არასტანდარტულ 2-ოთახიან ბინას ტელეფონით ფანასკერტელის ქუჩაზე (საბურთალო). ტელ.: 37-15-60, იკითხეთ ლამარა.**
- ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ვაკეში ტელეფონით ცხელი წყლით, მანქანის ადგილი. ტელ: 29-21-75.
- ერთოთახიან ბინას რესპუბლიკური საავადმყოფოს პირდაპირ, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“, ავეჯით. ფასი 50 დოლარი. ტელ: 98-86-26, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 4 საათამდე.
- საერთო 3-ოთახიანი ბინის 1 ოთახს. აქვს ცალკე შესასვლელი. ტელ: 39-66-71.
- ოროთახიან, გარემონტებულ ბინას ვაკეში, მეორე სართულზე, ეზოთი. ტელ: 23-17-34, 23-17-31.
- ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ცენტრში (ვერაზე), მეექვსე სართულზე. ტელ: 29-28-89, იკითხეთ თამილა 5 საათის შემდეგ, შაბათ-კვირის გარდა.

### ვიქირავებ

- **ვიქირავებ 1,5 ოთახიან ბინას დიდუბის რაიონში 50 დოლარის ფარგლებში. ტელ.: 22-60-62. ნანა.**



### ვყიდი

- ვყიდი უნივერსალურ ცვლადი დენის ბენზოელექტრონულ აგრეგატს, 4 კილოვატიანი, ახალი, რუსეთის წარმოების. ფასი 700 დოლარი. ტელ: 30-22-12.
- ავტომანქანა გაზ 24-10. მანქანა მუშა მდგომარეობაშია. ფასი 500 დოლარი. ტელ: 65-43-92.

### ვყიდულობ

- მავთულს 4-5 მმ, კატანკას 8-10 მმ და ფოლადის ფურცლებს 3 მმ. ტელ: 95-22-83.
- გუდრონს და მინა ქსოვილს. ტელ: 96-80-99.



### ვყიდი

- იაპონია-ჩინეთის წარმოების რადიო-ტელეფონს, იდეალურად მუშაობს ჩვენს პირობებში გარანტიით. ფასი 80 დოლარი. ტელ: 72-41-25, იკითხეთ ჯანო.
- კორეის წარმოების ახალ აუდიო ფაქსს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 35-31-67.
- ტელევიზორს „შილიარისი“ 42 სმ დიაგონალი. ჩამონტაჟებული აქვს პალსკამის ბლოკი. ფასი 200 დოლარი. ტელ: 72-41-25.
- საქსოვ მანქანას „ნევა“ ორი პრისტავკით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 72-41-25. ტექნიკა
- ვყიდი ახალ, გაუხსნელ ვიდეომაგნიტოფონს „სამსუნგი“. ფასი 400 დოლარი. ტელ: 99-93-73

### სხვადასხვა

- ვყიდი სასადილო მაგიდას 16-ფეხიანს, ბორბლებზე, რომელიც იშლება დაახლოებით 30 კაცზე. ტელ: 22-30-21. (დილით ან საღამოს).
- ვამზადებ ბავშვებს ინგლისურსა და რუსულ ენებში. ტელ: 96-25-94.
- ვყიდი ბელარუსის კედელს (სტენკას) „ბენდერში“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 98-25-92.
- ვყიდი სასმელების 30 წლის უნიკალურ კოლექციას 300 ბოთლამდე, აგრეთვე, ანტიკვარულ პატეფონს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-46-07, იკითხეთ თინა.
- ვყიდი თუნუქის ფურცლებს სახურავისთვის 14X0,7 მ; 50 ცალი. საწყისი ფასი 25 000 მან. ტელ: 66-56-13, იკითხეთ მურმანი.
- ვყიდი კოკერსპანიელის ლეკვებს. ფასი 100 დოლარი. ტელ: 96-85-32.
- ვყიდი სავაჭრო ჯიხურს ადგილთან ერთად, საუკეთესო ადგილას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-17-86, იკითხეთ დათო.
- თუ გსურთ ნებისმიერი მასალების თარგმნა ინგლისურიდან ქართულად და პირიქით. ტელ: 60-58-80.
- ვყიდი გერმანული ფირმის პიანინოს „გეიერს“, შინდისფერი. ფასი 800 დოლარი. ტელ: 39-13-03, 29-17-86.
- ვყიდი შავი კარაკულის ქურქს (ახალი), თეთრი ნორკის ქუდს, ხელით საკერავ მანქანას „ზინგერი“. ტელ: 34-12-94.
- ვყიდი კონდიციონერს BK-2000. ტელ: 51-68-10.
- მაღალკვალიფიციური მასაჟისტი მკურნალობს რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, სქოლიოზს, ბინაზე მისვლით. ტელ: 22-88-59, იკითხეთ მიშა.
- ვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქიმიაში (ბინაზე მისვლით). ტელ: 23-52-88.
- ვყიდი ხელით საკერავ მანქანას „ზინგერს“, „ტრილიაჟს“, საწერ მაგიდას და სეკრეტერს. ტელ: 96-31-83, 96-31-85.
- ჩავატარებთ საბუღალტრო კონსულტაციებს. ტელ: 93-69-90.
- ვყიდი პიანინო „როინიშს“ და ყავისფერი მუდლის ლეკვებს, რუსეთის მტვერსასრუტს „ვიხრი“. ტელ: 35-11-66.
- ვასწავლი თურქულ და ფრანგულ ენებს. ტელ: 30-32-85.
- ვყიდი ხის დამამუშავებელ ჩარხს, ასრულებს მრავალ ოპერაციებს; კონდიციონერს BK-2000, სეკრეტერს, სპორტულ სავარჯიშო კედელს, წყლის 3-ტონიან აუზს, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას. ტელ: 38-78-94, 38-66-58.
- ვყიდი კომპიუტერს „რობოტრონს“, 17X15, კარგი პრინტერით, ფასი 200 დოლარი; მოვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ქიმიაში და ბიოლოგიაში, გლდანში. ტელ: 93-69-90.
- ვყიდი რუმინულ კედელს „ფლორა“, შეუფუთავს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 66-19-37.
- ვყიდი ჩეხურ კედელს „მაგურა“, სამეულით, მაგიდას 6 სკამით, მუქი ყავისფერი. ფასი 1600 დოლარი. ტელ: 38-78-91, 98-87-46.
- **ვყიდი რკინის ემალირებულ ბაკს, 1200 ლიტრი ტევადობის, ფასი 200 დოლარი; მუხის ხის დუბის კასრს 200 ლიტრი ტევადობის; საბჭოური სასწორს და 6-სოიან ჩეხურ გატარას. ტელ: 29-41-02 (დილით) და 95-38-98 (საღამოს).**
- ვყიდი შავ ჩუქურთმებიან პიანინოს. ფასი 200 დოლარი. ტელ: 95-31-62.
- ვყიდი ფუტკრის მისამდელს, სამშენებლო მასალებს: სანკარებს, კედლის პანელებს, ფუნდამენტის დიდ ბლოკებს, ხელით შედუღების აპარატს, 10-ტონიან წყლის აუზს. ტელ: 38-65-34.
- ვყიდი ანტიკვარულ ჭაღს. ბრინჯაო, მთის ბროლი, მზხლის ფორმის, 6 მინიონი+1 ნათურა; რუმინულ სამეულს „როკოკო“. ტელ.: 95-25-87.
- ვყიდი საწერი კაბინეტის მაგიდას თავის სკამებით; სავარჯიშო ველოსიპედს ზინგერის საკერავ მანქანას მუშა მდგომარეობაში; ტილოზე ლამაზად სურათებს ჩარჩოთი; ფუნით აპარატს განვადებაში, Поток-4. ტელ: 39-66-71, იკითხეთ გაბუნია.
- ვყიდი სავარჯიშო ველოსიპედს სავარჯიშო კედელს ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას ხის დამამუშავებელ ჩარხს; თუჯობილავის ხალიჩებს 3X4. ტელ: 38-78-94, 38-66-58, იკითხეთ ტატა.
- ვყიდი მაღალი წნევის პოლიეთილენს (კრომშკა) 2 ტონა. მისამართი: ვაშლიჯვარი, ვეტერინარული ლაბორატორია 9-დან 6 საათამდე. ტელ: 61-78-59, იკითხეთ ბოცია დადეშიძე.
- ვყიდი ან ვცვლი ფინურ ავეჯს, „ედუარდოს“ საწოლს და კაბინეტს გაუხსნელს მეტროსთან ახლოს 3-ოთახიან ბინაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-53-15, 31-72-07.
- ვყიდი ანტიკვარულ საკონცერტო პიანინოს „არნოლდ ფიბგერის“ ფირმის მოდერატორით, 3-პედლიანი და 4 შანდლით, შავი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-65-32, იკითხეთ გივი, სვეტა.
- ვყიდი იორდანიულ საყინულე მაცივარს „მისტრალი“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-51-66.
- ვყიდი კავკასიური ნაგაზის ჯიშის ლეკვებს საუკეთესო საგვარეულოთი. ტელ: 60-66-27.
- ვყიდი თხილამურებს „შედები“, 180 სმ, ჩექმებს „სალეუ“, ზომა 42, სათვალეს. ტელ: 29-24-46, იკითხეთ ია.
- ვყიდი ჩეხურ კედელს „მაგურა“ სამეულით, მაგიდით, 6 სკამით. ფასი 1600 დოლარი. ტელ: 38-78-31, 98-87-46.
- ვყიდი გერმანულ სარეცხ მანქანას „შვერინი“ ძალიან კარგ მდგომარეობაში. ფასი 1000 დოლარი. ტელ: 35-57-76, 36-56-35, 38-56-54.
- ვყიდი ლითონის მილი. დიამეტრი 15 მმ-500 მეტრი. შველერი №20 — 2 ტონა, შველერი №30 — 3 ტონა. არმატურა 18 მმ დიამეტრით — 15 ტონა. შესადუღებელი აპარატები TD-517 უხმარი. ტელ: 95-56-10 (დღისით), 23-58-34 (საღამოს).
- ვყიდი მუნის მალამოს 2 დღის მორჩენის გარანტიით. ტელ: 23-52-74, იკითხეთ თინა.
- ვყიდი პიანინოს „ბელარუსი“ გერმანული კლავიატურით; მუხის პარკეტს — 8 კვ.მ. იაპონური ქვაბების კომპლექტს; მიწის ნაკვეთს ვეჯინში. ტელ: 39-81-04.
- შესანიშნავი ამერიკული აპარატურით უმტკივნეულოდ, უსისხლოდ, მომენტალურად, ყოველგვარი გამიზეზების გარეშე ვხვრეტავთ ყურებს ამერიკული აპარატურით „Sali“. აპარატის სყიდვით 10 000 მან. უსაყურეოდ — 5000 მან. წინასწარი დარეკვით საღამოს საათებში: 23-02-25.
- ვყიდი წყლის გამაცხელებელ ბაკს „ADMIRALS“. ფასი 110 დოლარი. ახალი, 40-ლიტრიანი. ტელ: 37-34-41, იკითხეთ ირაკლი.

---

## უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ბიურო დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვაში. ტელეფონები: 37-27-73, 36-11-58

5-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ქალაქის ცენტრში, ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩაზე, ზოოპარკის მასივის პირას, ჭერი 3 მ. არქიტექტორების სახლი. ფასი 50 000 დოლარი.

3-ოთახიანი ბინა მარჯანიშვილზე, ჭერი 3,60 მ, მარჯანიშვილის თეატრის გვერდზე, მე-4 სართული. ფასი შეთანხმებით.

იყიდება კერძო სახლი პლეხანოვზე ეზოთი, მე-3 სართული, 2 სანკვანძით კაფელით. სარეკ კოსმეტიკური რემონტის დამთავრებას პირველ და მეორე სართულზე. ფასი 48 000 დოლარი.

ფალიაშვილის ქუჩაზე, მე-4 სართულზე, 5-ოთახიანი ბინა, გარშემო აივნებით. მანსარდის მშენებლობა დაწყებულია. 5 წლის რემონტი. ფასი 45 000 დოლარი.

იყიდება ოროთახიანი ბინა საბურთალოზე, ჭერი 3,10 მ. ფასი 14 000 დოლარი.

**უცხოური ორგანიზაცია იყიდის სახლს ეზოთიან ახლოს. საცხოვრებელი ფართი დაახლოებით 300 კვ.მ. ეზო 300 კვ.მ. (თანახმაა მეტრო „დელისთან“ „ისინდი“).**

იყიდება ვერაზე 4-ოთახიანი ბინა 140 კვ.მ. ფართობით, 2 ლოჯია, 2 ბუხარი, მეორე სართული. ფასი 55 000 დოლარი.

იყიდება 300 კვ.მ. ფართის ბინა, 3-ოთახიანი, 2-ოთახიანი, 1-ოთახიანი გაერთიანებული, ფანასკერტელის ქუჩაზე. ფასი 57 000 დოლარი.

4-ოთახიანი ბინა ჭავჭავაძის პროსპექტზე, «გიპროგორსტროის» პირდაპირ. ფასი 65 000 დოლარი.

იყიდიან 3-ოთახიან ბინას ვერაზე, ვაკეში, საბურთალოს რაიონებში. ფასი 30 000 დოლარამდე.

კავკასიონი
ოთხშაბათი 16 [illegible] 1995

# არჩევნები-95 და პოლიტიკური პარტიები

## და ოცნება, რომელსაც კაცი არ მოუკლავს

მე-2 გვერდიდან

არის წარმოდგენილი. სხვადასხვა დროს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, მისი ლიდერი ნ.ნათაძე იმ პოლიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც საზოგადოებაში ყოველთვის სარგებლობს მეტ-ნაკლები მხარდაჭერით. მისი რეიტინგის დადასტურებაა ისიც, რომ იგი გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაშიც „პირველ ვიოლინოს" წარმოადგენს.

მომავალი არჩევნების წინ გაერთიანებული რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ ნაკლებად სავარაუდოა ვინმესთან



ზურაბ ჟვანია

კოალიციაში შესვლა თუ არ მოხდება არჩევნების შედეგების 10-პროცენტიანი გაყალბება, არ გამორიცხავენ საპარლამენტო უმრავლესობად ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

მემარჯვენეთა ბანაკში მეორე „გრანდად" ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას მიიჩნევენ. მისი დღევანდელი ხელმძღვანელობის უმეტესობა უკვე 80-იანი წლებიდანვე ჩაება პოლიტიკურ ფერხულში და სადღეისოდ ამ მიმართულებით საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ. თითქმის ყველა, ამ პარტიის მტერიც და მოყვარეც, ერთხმად აღიარებს ედპ-ს ძლიერ ორგანიზაციულ მხარეს და ამ კუთხით იგი სამაგალითოდ მიაჩნიათ. პარტიის მაღალი ავტორიტეტის გამოხატულებას წარმოადგენდა ისიც, რომ მისი ლიდერი გიორგი ჭანტურია მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე აირჩიეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარედ. ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე, საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებამდე, ეროვნულ-დემოკრატები მის ერთ-ერთ ყველაზე საიმედო პოლიტიკურ საყრდენად ითვლებოდნენ და საკმაოდ მაღალი პოსტები ეკავათ უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მოგვიანებითაც, როდესაც მათ ნებაყოფლობით დატოვეს სამთავრობო სავარძლები, სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკური კურსის მიმართ ძირითადად ლოიალობას იჩენდნენ და კრიტიკულ სიტუაციებში მის დამცველებადაც გამოდიოდნენ. მაგალითად, გასული წლის სექტემბერში, როდესაც გარკვეული ძალები ცდილობდნენ შევარდნაძის გადადგომის ლოზუნგის ქვეშ გაეერთიანებინათ მთელი ოპოზიცია, ედპ-ს ლიდერებმა თავიანთი პოზიცია ნათლად დააფიქსირეს: გიორგი ჭანტურია — „მიუხედავად სერიოზული შეცდომებისა, ბატონი შევარდნაძე ის პიროვნებაა, რომლის პასუხისმგებლობი-



ირაკლი წერეთელი
ლუიზა მაკიაშვილი

თაც უნდა გამოვიდეს ქვეყანა სერიოზული კრიზისიდან და რომლის აქტიური ხელმძღვანელობითაც უნდა აშენდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძვლები. იგი უნდა დარჩეს თანამდებობაზე, რადგან ეს არამარტო პატივი, არამედ დიდი ჯვარიცაა, რომელიც ბოლომდეა მისატანი". ირინა სარიშვილი — „შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნა დანაშაულია, არ შეიძლება იგი ჟორჟოლიანისა და სიგუას ძახილზე გადადგეს, ხოლო თუ სახელმწიფოს მეთაური გადადგა, შეიძლება მართლა მოღალატედ დარჩეს ერის ისტორიაში".

გიორგი ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ ედპ მტკიცედ „გადაბარგდა" მემარჯვენე ოპოზიციის ბანაკში და სახელმწიფოს მეთაურის ოპონენტთა რიგები შეავსო. მძიმე დარტყმის მიუხედავად, პარტიის ხელმძღვანელობა იმედს გამოთქვამს, რომ წარმატებას მიაღწევს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და გულმოდგინედ ემზადება მისთვის. მომავალი გამოაჩენს, შეძლებს თუ არა ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურია ქართულ პოლიტიკაში მისი ფილიპინელი კოლეგის კორასონ აკინოს გზის განმეორებას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: საზოგადოება, რომელიც დაიღალა ქარიზმატული ლიდერების მოზღვავებით, მასში აშკარად ხედავს ჩვენში დეფიციტად ქცეული პრაგმატიკოსი პოლიტიკოსის ნიჭს და ჭანტურიას შემდეგ და ედპ-ს მაღალ რეიტინგს მნიშვნელოვნად განაპირობებს სწორედ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ავტორიტეტი.

არჩევნებისთვის სამზადისს ყველაზე ადრე მემარჯვენე ფრთის ის წარმომადგენლები შეუდგნენ, რომლებიც ხედებიან, რომ ორგანიზაციული სისუსტის, ელექტორატის მცირერიცხოვნების და რიგ სხვა მიზეზთა გამო, გაუჭირდებათ პოლიტიკურ ელიტაში ადგილის დამკვიდრება. ამას ემატება ისიც, რომ ამ ძალების ძირითადი „არსენალი" — ულტრანაციონალური ლოზუნგები და პერმანენტული შიმშილობები საგანგებო სესიის მოწვევით დაწყებული და შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნებით დამთავრებული, სათანადო ეფექტს ვეღარ იძლევა და ნაკლებად იქცევს ფართო საზოგადოების ყურადღებას. ამიტომ, ბუნებრივია, ასეთი პარტიების განზრახვა, ერთობლივი ძალისხმევით, ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნით იარონ პოლიტიკის „ეკლიან ბილიკებზე". ამ მიზნით ყალიბდება საარჩევნო პოლიტიკური გაერთიანება „დამოუკიდებელი საქართველო", რომლის ორგანიზატორია ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი. მან ბლოკში შესვლა შესთავაზა პარლამენტში წარმოდგენილ რიგ ოპოზიციურ პარტიებს, მაგრამ მის მოწოდებას დიდი ენთუზიაზმი არ გამოუწვევია. გარდა ამისა, დღევანდელ ხელისუფლებას ორი ულტრამემარჯვენე პარტიის ლიდერის — ირაკლი წერეთლისა და თემურ ჟორჟოლიანის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში ანგარიშგასაწევი კოზირი გააჩნია — იგი შეეცდება არჩევნების წინ ამომრჩევლებს განუმტკიცოს აზრი, რომ თუ არა პარლამენტარის იმუნიტეტი, ეს ორი პოლიტიკოსი რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ბრალდების საფუძველზე, შესაძლოა, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი, დეპუტატის სავარძლის ნაცვლად საბრალდებო სკამზე მსხდარიყვნენ.

მიუხედავად ასეთი ფსიქოლოგიური ზეწოლისა, წერეთელი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მიიჩნევს, რომ მისმა ხალხმა „მომავალ პარლამენტში ადგილების სულ ცოტა 57 პროცენტი უნდა მოიპოვოს". თუმცა, პირადად მას სურვილი აქვს „მანდატების 70 პროცენტის აღებისა, რათა ყველა გადაწყვეტილების მიღება შეძლოს". მაგრამ თუ სინამდვილეს თვალს გავუსწორებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ასეთი განცხადება ჰგავს „ოცნებას, რომელსაც კაცი არ მოუკლავს".

მემარჯვენე დაჯგუფებებისთვის „სარეზერვო კორპუსის" როლი შეეძლო შეესრულებინა გასული წლის შემოდგომაზე შექმნილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტს (თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ბორის კაკუბავა), მაგრამ ამ ორგანიზაციის კანონგარეშედ გამოცხადების შემდეგ, რასაც მოკლე ხანში თან დაერთო სახელმწიფოს მეთაურის კურსისგან ჯაბა იოსელიანის განდგომა, ანალოგიური ფუნქციების შესრულებას ამ უკანასკნელის ინიციატივით დაფუძნებული საზოგადოებები — „არჩევნები" და „მხედრიონი" — შეეცდებიან.

„მხედრიონის" ლიდერის ძირითად არგუმენტს „იდეოლოგიურ ბრძოლაში" დიქტატორის, ტოტალიტარიზმის დამკვიდრების საშიშროების თავიდან აცილების და დემოკრატიული პრინციპების დაცვის აუცილებლობის პროპაგანდა წარმოადგენს. გარდა ამისა, იგი სისტემატურად შეახსენებს ხოლმე საზოგადოებას იმ 800 მხედრიონელის ღვაწლს, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს მთლიანობისთვის ბრძოლას, აგრეთვე ქვეყნისთვის გაკეთებულ „მილიონდოლარიან საჩუქარს" — მაშველთა კორპუსის მიერ ძალოვანი სტრუქტურებისთვის იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების ფაქტს. დღევანდელი ხელისუფლების მიერ დაშვებულ ყველაზე დიდ შეცდომად ჯაბა იოსელიანს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტის დამკვიდრება მიაჩნია, ხოლო მის ოპონენტებს კი სულ უფრო ხშირად „ახსენდებათ" აფხაზეთის საკითხზე დადებულ საერთაშორისო შეთანხმებებში ქართული მხარის საზიანოდ გაპარული ლაფსუსები, აგრეთვე, კრიმინალურ სამყაროსთან სამართალდამცავი ორგანოების ბრძოლის დროს წამოტივტივებულ მხედრიონელთა სახელები.

დიდი ხნის განმავლობაში „მხედრიონის" ხელმძღვანელობა ირონიულად უყურებდა ქართულ პარტიულ ელიტას, მაგრამ დღეს, როდესაც მათი ლიდერი ოპოზიციურ ბანაკში აღმოჩნდა და საჭირო გახდა მოკავშირეების ძებნა, ეს არც ისე იოლი გამოდგა. სადღეისოდ, მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელთან თანადგომის აქტიურ სურვილს მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობისა და კონსერვატორულ-მონარქისტული პარტიების თავმჯდომარეები ამჟღავნებენ. მოკავშირეების ძებნაში, ბევრისთვის გასაოცრად, ასეთი ძალა საწინააღმდეგო პოლუსზე, ულტრამემარცხენეთა ბანაკში ერთიანი კომპარტიის ხელმძღვანელის გენერალ პანტელეიმონ გიორგაძის სახით გამოჩნდა. თავის „სიმპათიას" „მხედრიონის" ლიდერის მიმართ ორთოდოქს ლენინელთა ქართველი წინამძღოლი არც ფარავს და პირდაპირ აცხადებს, რომ „საქართველოს პარლამენტში ერთადერთი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი და დეპუტატი ჯაბა იოსელიანია".

შემარჯვენეთა პოლიფონიაში ექსპრეზიდენტის მომხრეთა ხმის ფაქტორის გათვალისწინებაცაა აუცილებელი. ეს ის ძალაა, რომელსაც მყარი პოლიტიკური სტერეოტიპი გააჩნია, „არ სდევს ჟამთასვლას და იგივეა მარად და მარად". მათი მრწამსი შეიძლება ცნობილი გერმანელი რეფორმატორის მარტინ ლუთერის სიტყვებით გამოიხატოს — „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს". ხელისუფლების საჭეს ჩამოცილებული ქართველი იაკობინელები თითქმის ოთხი წელია ერთ ხაზს — მმართველობის სამოქალაქო ინსტიტუტების უგულვებელყოფის ტაქტიკას მისდევენ და დღევანდელ ხელისუფლებასთან ნებისმიერი კონტაქტი კოლაბორაციონიზმის გამოვლენად მიაჩნიათ. მაგრამ მსოფლმხედველობითი პრინციპების სიმტკიცის მიუხედავად, განშრევების პროცესი „მრგვალი მაგიდის" შიგნითაც დაიწყო. მართალია, მისი ძირითადი ნაწილი კვლავ „პოლიტიკური აბსტინენტიზმის" დაცვის აუცილებლობას მოითხოვს, მაგრამ მის შიგნით გაჩნდა ჯგუფიც, რომელიც მზად არის, კვლავ ჩაერთოს პოლიტიკურ ორომტრიალში და ბოიკოტირების ტაქტიკიდან აქტიურ წინასაარჩევნო ბრძოლაზე გადავიდეს. თუმცა, საეჭვოა, რომ ორგანიზაციული მდგრადობის არარსებობის და საარჩევნო ცაიტნოტის პირობებში „ლუციფერთან მებრძოლებმა" ახლო მომავალში მნიშვნელოვანი დივიდენდები დააგროვონ და სერიოზულ პოლიტიკურ წარმატებებზე იფიქრონ.

ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ისიც იძლევა, რომ ამ ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ ნაკადში, რომელსაც ზოგადად გამსახურდიას პიროვნული ადორაცია აერთიანებს, ჭარბობს ტენდენცია, რომ დანარჩენ პარტიულ სპექტრში ქვეყნის გადარჩენის გზებზე განსხვავებული აზრის მქონე ორგანიზაციები კი არა, იდეური მტრები დაინახონ, რომელიც ფიზიკურად თუ არა, მორალურად მაინც უნდა გაანადგურო. ამიტომ, ხშირად „დანარჩენ სამყაროსთან" დაპირისპირებას ზნეობრივი სტატუსი ეძლევა. ეს კი ექსპრეზიდენტის მხარდამჭერთა თვითიზოლაციას იწვევს და აქედან გამომდინარე, ხელისუფლებაში დაბრუნების ნაკლებ შანსს იძლევა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში (და არა მარტო საქართველოში, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში) შეიმჩნევა ხელისუფლების სათავეში მემარცხენე ძალების დაბრუნების ტენდენცია. ამომრჩევლებს სცენიდან ჩამოყავთ პოსტკომუნისტური პერიოდის რეფორმატორები და ნდობას კვლავ ძველი სისტემის პოლიტიკოსებს უცხადებენ. ასეთი არჩევანი გააკეთა ბოლო პერიოდში მოსახლეობამ რუსეთში, უკრაინაში, ლიტვაში, პოლონეთში, უნგრეთში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მემარცხენეობისკენ გადახრის ეს პროცესი არ იწვევს დასავლეთის მაინცდამაინც დიდ შეშფოთებას, რადგან მიაჩნიათ, რომ ამით საბაზრო ეკონომიკისკენ სვლის ტემპი, მართალია, ნელდება, მაგრამ იგი მაინც გრძელდება. პოლიტოლოგების აზრით, მარცხნივ გადახვევა მოსალოდნელიც იყო და იგი განაპირობა იმ ახლად აღზევებული პოლიტიკოსებით იმედგაცრუებამ, რომლებიც საბოლოოო ჯამში ან მეტად არაკომპეტენტურნი აღმოჩნდნენ, ან კორუფციაში ჩაეფლნენ, რის შედეგადაც ყოფილი კომუნისტების აქციები კვლავ საგრძნობლად ამაღლდა. ისინი ძველი სისტემის ნგრევის პირობებში საუკეთესო სასტარტო პოზიციებზე აღმოჩნდნენ, დაიკავეს რა საკომანდო თანამდებობები თითქმის ყველა სფეროში. ამიტომ, გასაკვირი აღარ არის, რომ ხელისუფლებაში მობრუნებულ „უძღებ შვილებს" კარგი, ნორმალური ურთიერთობები აქვთ, როგორც საზღვარგარეთის, ისე სწრაფი ტემპებით მზარდი საკუთარი ქვეყნის კერძო სექტორის წარმომადგენლებთანაც.

ამიტომ ბევრს კანონზომიერადაც კი მიაჩნია ის ფაქტი, რომ საქართველოს მემარცხენე ძალთა ახალი ფლაგმანი —



ჯაბა იოსელიანი

მოქალაქეთა კავშირი — პოლიტიკური ჰეგემონობისკენ ისწრაფვის და არცთუ უსაფუძვლოდ. მის ძირითად ბირთვს გააჩნია პოლიტიკური საქმიანობისთვის აუცილებელი გამოცდილება, აქვს მხარდაჭერა და დასაყრდენი სხვადასხვა პოლიტიკურ სტრუქტურებში, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რეალური ხელისუფლება — მისი ოთხმოცამდე წევრი საქართველოს პარლამენტის დეპუტატია. აქ არიან ეროვნული მოძრაობიდან მოსული უნარიანი მოღვაწეები, მსხვილი ბიზნესმენებიც, რომელთაც თავისი საქმიანობის პოლიტიკურ გარანტად სწორედ მოქალაქეთა კავშირი ესახებათ.

ვინაიდან არ ზღუდავს პარტიის წევრობას იდეოლოგიური, ეროვნული, სოციალური და სხვა ნიშნებით, ამან შეიძლება მოქალაქეთა კავშირი ადვილად შესაღწევი, სატრამპლინო ორგანიზაცია გახადოს ბევრი საეჭვო რეპუტაციისა და წარსულის მქონე პიროვნებისთვის. ამ გარემოებამ კავშირი სამართლიანად აქცია მისდამი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების კრიტიკის ობიექტად. გარდა ამისა, პარტიის ასეთმა მასობრიობამ და მასში გაერთიანებული ადამიანების შეხედულებათა სიჭრელემ, შესაძლოა, ეს ორგანიზაცია უმართავი გახადოს.



თედო პაატაშვილი

მოქალაქეთა კავშირს ოპონენტები ნაკლოვან უთვლიან იმასაც, რომ მასში არ ჩანან ახალი ლიდერები, ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ პარტიის ერთგვარ სახეს განასახიერებენ. ყველა, ვინც მეტ-ნაკლებად წარმოჩენილია, წარმოადგენს ან პარლამენტის ცნობილ დეპუტატს, ან განთქმულ ხელოვანსა თუ მეცნიერს. ახალი ლიდერი კი, შესაძლოა, ერთგვარ მოლოდინს გაუჩენდა იმ ადამიანებს, რომელთაც ჯერ კიდევ არა აქვთ ჩამოყალიბებული თავისი პოლიტიკური სიმპათიები. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს ლიდერი აღმოჩნდებოდა საკუთარი შეხედულებების დამცველი, პატიოსანი, უმწიკვლო პიროვნება, ამით იგი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა ამ პარტიას, წარმოაჩენდა რა მის (პარტიის) თავისთავადობასა და ამოცანების აქტუალობას.

მოქალაქეთა კავშირი გადამწყვეტ მომენტებში მზად არის, თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და ქმედითი როლი ითამაშოს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მთელი რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად. ეს ორგანიზაცია დღეისთვის უკვე სერიოზული ანგარიშგასაწევი ძალაა და ამის გაუცნობიერებლობა მათი კონკურენტებისთვის მიუტევებელი შეცდომა იქნება. პარტიის ლიდერთა აზრით, მოქალაქეთა კავშირი დღეისთვის ერთ-ერთი უძლიერესი პარტიაა საქართველოში, რომელმაც „თავისი ზრუნვისა და დაცვის ობიექტად აირჩია მოქალაქე, დამოუკიდებლად მისი კლასობრივი, სარწმუნოებრივი, სოციალური და სხვა კუთვნილებისა. იგი ცნობიერად უარს ამბობს ე.წ. შოკურ მეთოდებზე და ორიენტაცია უფრო რბილ, თანდათანობით გარდაქმნებზე გადააქვს".

მოქალქეთა კავშირის მემარცხენეთა ბანაკში მყარად დაფუძნება დაადასტურა ამ ორგანიზაციის მეორე ყრილობამ, რომელიც მიმდინარე წლის 7-9 ივლისს ჩატარდა. ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა „მოქალაქეთა" სერიოზული სამზადისი კარსმომდგარი არჩევნების მიმართ — მიღებული იქნა განცხადება საარჩევნო პლატფორმის პრინციპების შესახებ და გადაწყვეტილება პირველადი პარტიული არჩევნების გზით სიის ფორმირების თაობაზე. ასე რომ, მოქალაქეთა კავშირმა უკვე გამოაცხადა „სრული საბრძოლო მობილიზაცია".

როდესაც მემარცხენეთა ბანაკზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ხუთწლიანი „ექსორიის" შემდეგ პოლიტიკურ სარბიელზე ხელახლად გამოჩენილ ქართველ მარქსისტ-ლენინელებს. ნეოკომუნიზმის აღორძინებისთვის საქართველოში ამჟამად მეტად ნოყიერი ნიადაგი არსებობს: საზოგადოების დიდი ნაწილის სწრაფი გაღატაკება, სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობა, ხელისუფლებისადმი მასების უნდობლობის ფაქტორი, ღრმა ცვლილებები ადამიანთა ფსიქოლოგიაში და სხვა. ამიტომ გარკვეულ წრეებში შეიმჩნევა ნოსტალგია ძველი რეჟიმისადმი და მისი რეანიმაციის სურვილი. ალბათ, ამ სეგმენტზე ჩაილენ ფსონს კომუნისტი-ფუნდამენტალისტებიც.

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია დღეისთვის ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს პარლამენტსგარეთ არსებულ ორგანიზაციებს შორის. მისი ლიდერის, პანტელეიმონ გიორგაძის განცხადებით, 73 საოლქო და რაიონულ ორგანიზაციაში 150 ათასამდე კაცია გაერთიანებული და ეჭვი არ ეპარება, რომ „კომუნისტები პარლამენტში და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში ადგილების უმრავლესობას პირველივე არჩევნებში მიიღებენ, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში დაიწყებენ სასტიკი წესრიგის დამყარებას, რათა ყოველმა მოქალაქემ იგრძნოს, რომ მას კანონი იცავს". რამდენად რეალურია ეკპ-ში 150 ათასი წევრის არსებობა, ამის შემოწმება (ისევე, როგორც სხვა პარტიების რაოდენობის აღრიცხვა) შეუძლებელია, ასე რომ, თეთრს და შავს არჩევნები გამოაჩენს.

მაგრამ „ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებას და სინდისს" წინ შეიძლება სერიოზული დაბრკოლება დახვდეს: პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში თუ მისი ლიდერების საჯარო გამოსვლებში ხშირია დაშლილი კავშირის აღდგენისკენ მიმართული მოწოდებები. თუ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ეს ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩათვალა და კომუნისტთა ორგანიზაციას არ მისცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაშინ მარქსიზმ-ლენინიზმის მიმდევრებს ან თავიანთი შეხედულებების რევიზია მოუწევთ, ან მომდევნო, 1999 წლის არჩევნებამდე ლოდინი.

ბოლო ხანებში თვალშისაცემი გახდა მემარცხენე ფრთის კიდევ ერთი წარმომადგენლის — სოციალ-დემოკრატიული პარტიის გააქტიურება. თუ ადრე იგი პოპულისტური მეთოდებით ცდილობდა, გავლენა მოეხდინა საქართველოში მოქმედ ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებზე, ახლა მისი ლიდერი გურამ მუჩაიძე სისტემატურად მიმართავს საზღვარგარეთ არსებული ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან მჭიდრო კონტაქტების აფიშირებას. ასეთი დუალიზმი ნათლად ჩანს პარტიის თავმჯდომარის ერთ-ერთ ინტერვიუშიც, იგი ამბობს: „დსთ-ში საქართველო იმთავითვე უნდა შესულიყო. დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავება ჩვენი ქვეყნის ინტერესებში შედის. არაფერი ისე არ ვნებს ეროვნულ ინტერესებს, როგორც იზოლაციონიზმი". და იქვე: „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებისა. გაცილებით უკეთესია დსთ-ს სივრცეში ნატოს ტიპის თავდაცვითი სისტემისა და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნა".



თემურ ჟორჟოლიანი

ამ სამი ორგანიზაციის გარდა (მოქალაქეთა კავშირი, სოციალ-დემოკრატიული პარტია, ერთიანი კომპარტია) მემარცხენეთა რაზმში კიდევ უამრავი ორგანიზაცია „ირიცხება", რომელთა შორისაც ბოლო პერიოდში საზოგადოების ყურადღება მიიქციეს ქალთა პარტიამ და სოციალისტურმა პარტიამ. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის პოზიციების განმტკიცებას მოემსახურება და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩართავს „ბილო სიჩქარეს", თუ „მოქალაქეთა" შიგნით უთანხმოებამ და კონფრონტაციამ საშიშ ფარგლებს მიაღწია. რაც შეეხება ქალთა პარტიას, მისი შექმნა ემანსიპაციის საყოველთაო ტენდენციისთვის ხარკის გაღებას უფრო ჰგავს, ვიდრე ქართულ პოლიტიკაში გავლენის სფეროების გადანაწილებაში ახალი სერიოზული კონკურენტის გამოჩენას.

საქართველოში ცენტრისტული ბანაკის ფორმირების სირთულეებზე უკვე გვქონდა საუბარი. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ აქ, სხვა ბანაკებისგან განსხვავებით, სადღეისოდ მხოლოდ ერთი გამოკვეთილი ლიდერია — ტრადიციონალისტთა კავშირი. მისი პოზიციები სოლიდურად გამოიყურება როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (კავშირის ბაზაზე შექმნილია ფრაქცია „ტრადიციონალისტი-კონსერვატორი"), ისე აღმასრულებელ სტრუქტურებში (ვიცეპრემიერის პოსტი). გარდა ამისა, პარტიის ხელმძღვანელობა ცდილობს, სისტემატური კავშირები იქონიოს ქართულ სამეფო სახლთან და მათი მეშვეობით — დასავლეთ ევროპის წამყვან პოლიტიკურ წრეებთან. ტრადიციონალისტთა რეიტინგის განმტკიცებამ განაპირობა „ორმაგი ცეცხლის ქვეშ" მოყოლა — მემარცხენეები მათ „ნაციონალისტების", ფარული „ზვიადისტების" ეპითეტებით ამკობს, მემარჯვენეები კი ეჭვის თვალით უყურებენ კავშირის ლოიალობას ოფიციოზის მიმართ და მას ორ სკამზე ჯდომასა და ორმაგ თამაშში დებენ ბრალს. განსაკუთრებული რისხვა ტრადიციონალისტებს მაშინ დაატყდათ თავს, როდესაც 1995 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კენჭისყრისას „თავიანთი კაცის" — ვიცეპრემიერ თემურ ბასილიას მიერ შემუშავებული ბიუჯეტის პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ორმაგი ცეცხლის" მიუხედავად მათი რეიტინგი ნელა, მაგრამ მაინც იზრდება.

არჩევნების წინ ტრადიციონალისტებიც შეუდგნენ საიმედო პარტნიორების ძიებას. მათ უარი განაცხადეს ყოველგვარ კავშირზე უკიდურეს მემარცხენე ძალებთან, თუმცა, არ გამორიცხეს თანამშრომლობის შესაძლებლობა უკიდურეს მემარჯვენეებთან. გარდა ამისა, ისინი „გაურბიან კონტაქტებს" მსხვილ პარტიებთან და სიამოვნებით „უყოფენ ლუკმას" ნაკლები ძალის მქონე, მაგრამ მსგავსი პრინციპების მქონე პარტიებს.

ტრადიციონალისტთა „ქოლგის ქვეშ" პირველად ლიბერალურ-კონსერვატორულმა პარტიამ შეაფარა თავი. იგი მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამოეყო კონსერვატორულ-მონარქისტულ პარტიას, რადგან იგი „ვერ ასახავდა საზოგადოების ინტერესებს" და ტრადიციონალისტებთან ერთად შექმნეს საკოორდინაციო ბიურო, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს აღნიშნული პარტიების ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ რეფორმების მიმდინარეობა მნიშვნელოვნად უკავშირდება თემურ ბასილიას სახელს, ასე რომ, თუ განხორციელდა ფულის რეფორმა და გამართლდა ის იმედები, რომელსაც მისი შემოქმედები აძლევენ მოსახლეობას ლართან დაკავშირებით, ცხადია, საგრძნობლად გაიზრდება მოსახლეობის ნდობა თემურ ბასილიას მიმართ, რაც დადებითად იმოქმედებს ტრადიციონალისტთა რეიტინგზეც.

როგორც ვხედავთ, ქართული მრავალპარტიული სისტემა შინაგანად მეტად მრავალფეროვანია. იგი მეტად დანაწევრებულია, სისტემატურად იცვლება პოლიტიკური პარტიების ორიენტაცია, რაც სხვადასხვა არამყარი კოალიციების შექმნა-დაშლაში გამოიხატება (დასავლეთში ამას მრავალპოლარულ პლურალისტულ სისტემას უწოდებენ). თუმცა, სპეციალისტები მოახლოვებული საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით არ გამორიცხავენ პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებას სტაბილური ბლოკირების საფუძველზე ორი ცენტრის ან პოლუსის გარშემო.

ამ პროცესის ნორმალურად წარმართვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედი პოლიტიკური პარტიების საზოგადოებასთან, სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმების დახვეწასა და რეგულირებას. მაგალითად, ბევრ ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს პარტიის წევრთა რაოდენობის ის განსაზღვრული მინიმუმი, რომელიც აუცილებელია პარტიის რეგისტრაციაში გასატარებლად. ასეთი კვოტის არსებობა აფერხებს უსახური, ნაკლებად გავლენიანი პარტიების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას, რაც საბოლოო ჯამში, იცავს სახელმწიფოს ძნელადსამართავი, ანარქიული პროცესებისგან.

ასეთი კვოტა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" 1991 წელს მიღებული კანონის თანახმად, საქართველოში განისაზღვრა არანაკლებ 100 კაცის ოდენობით, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ აღნიშნული მინიმუმის დაწესება ჩვენი პირობებისთვის არასაკმარისია და გაზრდას მოითხოვს, რაც ხელისუფლებისკენ მიმავალ გზას გადაუკეტავდა პოლიტიკურ ბალასტს და ხელს შეუწყობდა სტაბილური პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შანსებს, ამ მხრივ უკეთესი პერსპექტივები აქვთ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც დღეს უკვე იმყოფებიან პარლამენტში. ეს, ანალიტიკოსების აზრით, რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. პირველ რიგში, თავად პარლამენტში ყოფნა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მანევრირების საშუალებას იძლევა, მეორეც [illegible] საქმიანობით დაინტერესებული არიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რაც დიდად წაადგებათ საკუთარი მრწამსისა და იდეების პროპაგანდაში, შესაძლო მეტი საშუალებაა ელექტორატის თვალში პარტიის ლიდერების პოლიტიკური იმიჯის განსამტკიცებლად და



გურამ მუჩაიძე

ბოლოს — დეპუტატის პულტი მათ საშუალებას აძლევს, ახალი საარჩევნო კანონი თავისი ქარგის მიხედვით შეკერონ.

თუმცა, არასაპარლამენტო პარტიებსაც აქვთ რიგი უპირატესობანი — ისინი დაკავშირებულნი არ არიან არაპოპულარულ გადაწყვეტილებებთან და ლობისტებთან, შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ დომინანტი პოლიტიკური ძალებით გამოწვეული საზოგადოების „დაღლილობა", გააჩნიათ მეტი პოტენციალი ახალი ლიდერების წარმოჩენისა, რომელთა სახელებიც არ უკავშირდება ბოლო პერიოდის კატაკლიზმებს.

ასე რომ, აღვიჭურვოთ მოთმინებით და დაველოდოთ შემოდგომის მიწურულს, რათა საკუთარი თვალით ვიხილოთ, გრანდიოზულ პოლიტიკურ სპექტაკლში ვის მოუწევს მთავარი როლის თამაში და ვის — თეატრალური ფარდის დაშვება.

გიორგი აფხაზიშვილი

სპორტი



მძლეოსნობა

# ამერიკელი მძლეოსნების უპირატესობით

იყო დრო, როდესაც ამერიკელ მძლეოსნებს სრული უპირატესობა ჰქონდათ ევროპელებთან ასპარეზობის დროს, მაგრამ „სპორტის დედოფალი" ისეთივე პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში, როგორც დღეს ფეხბურთია. ოკეანის გაღმელი სპორტსმენები მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშებიდან სამშობლოში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით მკერდდამშვენებულნი ბრუნდებოდნენ. ბევრი მათგანი მსოფლიოს რეკორდსმენიც იყო. გვინდა გავიხსენოთ ვაჟთა შორის სიმაღლეზე, სიგრძეზე ხტომები, რბენა 100 მეტრზე, ბადროს ტყორცნა და სხვა. თუ მექსიკის 1968 წლის ოლიმპიადაზე ამერიკელი სიგრძეზე მხტომელის რაპიმონის მსოფლიოს რეკორდს — 8 მეტრი და 90 სმ ფენომენალურს უწოდებდნენ და მან 15 წელზე მეტი იარსება, დღეს ეს შედეგი უკვე აღარავის აკვირვებს. მართალია, უკანასკნელ წლებში თავისი თანამემამულის რაპიმონის ფანტასტიკური შედეგი ამერიკელმა მაიკლ პაუელმა 5 სმ-ით გააუმჯობესა, მაგრამ მას უკვე გამოუჩნდნენ სერიოზული მეტოქეები. პირველ რიგში, ეს გახლავთ 22 წლის კუბელი მძლეოსანი ივან პედროსო (სიმაღლე 177 სმ, წონა 75 კგ), რომელმაც გეტებორგის მსოფლიოს V პირველობის წინ იტალიაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე პაუელის მსოფლიო რეკორდს 1 სანტიმეტრი წაუმატა, მაგრამ მისი ნახტომის ვიდეოფირის განმეორებითი გასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ ქარის წამზომი აპარატის წინ ვიღაცა იდგა და მსოფლიოს ახალი რეკორდი 896 სმ ეჭვის ქვეშ დაყენეს. უოველივე ამის შემდეგ კუბელმა მძლეოსანმა განაცხადა: „ძალიან დიდი სურვილი მაქვს, გეტებორგის მსოფლიოს პირველობაზე ოქროს მედალი მოვიპოვო. ამის შესახებ 12 წლის ასაკიდან ვოცნებობ. შვეციაში, შესაძლოა, მსოფლიოს რეკორდი 9 მეტრამდე გაიზარდოს". და აი, 12 აგვისტოს გეტებორგის სახტომ სექტორში ოქროს მედლისთვის ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ კუბელი იპედროსო და ამერიკელი მპაუელი. მეოთხე ცდაზე კუბელმა 870 სმ აჩვენა და ჭაბუკური ოცნება აისრულა. რაც შეეხება მის ძირითად მეტოქეს პაუელს, მან 829 სმ აჩვენა, რაც მხოლოდ ბრინჯაოს მედალია. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში 60-იან წლებში ამერიკელები დომინირებდნენ. პირველად ნავსი თბილისელმა რ.შავლაყაძემ გატეხა. 1960 წლის რომის XVII ოლიმპიადაზე მან „ბოსტონელ კალიად" მიჩნეული ჯ.ტომასი დაამარცხა და თბილისში ოქროს მედლით დაბრუნდა. მას შემდეგ ევროპელი მხტომელები დიდი წარმატებით გამოდიოდნენ მძლეოსნური სახეობის ამ ერთ-ერთ საინტერესო სპორტში. ახლა მსოფლიოს რეკორდსმენი კუბელი ხ.სოტომაიორია, რომლის შედეგია 245 სმ. გეტებორგის სახტომ სექტორში კუბელი რეკორდსმენის გამოჩენას მაყურებლები ოვაციებით ხვდებოდნენ. სოტომაიორი ოლიმპიური სიმშვიდით იღებდა 225, 229, 232, 235 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადებულ თამასას. 237 სმ მან დიდი გაჭირვებით მესამე ცდაზე აიღო და ვერცხლის მედალს დაეუფლა. ეს სიმაღლე მეორე ცდაზე დასძლია ბაჰამის კუნძულების წარმომადგენელმა ტროუ კემმა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

გეტებორგის მსოფლიოს ჩემპიონატზე დამყარებული იქნა რამდენიმე მსოფლიოს რეკორდი. ორი მათგანი სამმაგი ხტომის ოსტატებს ეკუთვნით. ქალებში ეს შეძლო უკრაინელმა ი.კრავეცმა, რომლის შედეგია 15 მეტრი და 50 სმ, ხოლო ვაჟებში ინგლისელმა ჯ.ედვარდსმა — 18 მეტრი და 29 სმ. ქალთა შორის ბადროს ტყორცნა მოიგო ბელარუსმა ე.ზვერევამ — 68 მ და 64 სმ. 5000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ირლანდიელმა მორბენალმა ქალმა ო.სელივანმა — 14:46,47 წმ. 200 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა ამერიკელი სპრინტერი გლენ თორანსი — 21,77 წმ, მაგრამ მსაჯებმა ვიდეომასალა განიხილეს, რომელმაც დაადასტურა, რომ ახალმა ჩემპიონმა რბენის დროს მეზობლის ბილიკს დააბიჯა ფეხი.


ფოტო: რეიტერი

მსაჯთა კოლეგიამ ოქროს მედალი ამერიკელს ჩამოართვა და მეორე ადგილზე გასულ იამაიკელ მერლინ ოტის გადასცა. კიდევ ერთი მსოფლიოს რეკორდი 400 მეტრზე თარჯრბენაში დაამყარა ამერიკელმა ქალმა კიმ ბატენმა, რომლის შედეგია — 52,61 წმ. უკრაინელმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ მეხუთედ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი — 592 სმ. ამ ასე, გეტებორგში საზეიმო ვითარებაში დაიხურა მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატი რომელიც ამერიკელმძლეოსანთა უპირატესობით წარიმართა. წინ არის ატლანტის (აშშ) XXVI ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, რომელიც გაისად ზაფხულში ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება.

მოამზადა

შალვა ძორიძემ



ფეხბურთი

## ბრაზილიელები - აზიაში

სამხრეთ-ამერიკის თასზე ურუგვაელებთან ფინალური მატჩის შემდეგ, მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონებსა და მათ მწვრთნელს ინსტრუქცია მოუწყვეს სამშობლოში. მარიო ზაგალოს აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მან ურუგვაიში არ წაიყვანა ბებეტო და რომარიო, რომლებსაც ბრაზილიელთა მწვრთნელმა გუშინდელი დღე უწოდა. ასეა თუ ისე, მსოფლიოს ჩემპიონებს ურუგვაიში შეეძლოთ ბევრად უკეთესად ეთამაშათ.ბრაზილიის ნაკრები ტოკიოში ჩამოვიდა და იაპონიის კლუბებში მოთამაშე ბრაზილიელების დახმარებით საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართა ამომავალი მზის ქვეყნის ნაკრებთან. ბრაზილიელებმა ადვილად გაიმარჯვეს — 5:1. შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონები სამხრეთ კორეას ესტუმრნენ და მეორე საერთაშორისო შეხვედრა ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან ჩაატარეს. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 1:0. ბურთი დუნგამ გაიტანა.

## ვინ იქნება ჩემპიონი?

ეკვადორში 20 აგვისტოს დასრულდება მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში 17 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. მოასპარეზეთა შორის 16 ეროვნული ნაკრებია გამო..ის. ისინი 4 ქვეჯგუფად არიან ...ნი. „ა" ჯგუფის მონაწილეთა შედეგები ასეთია: განა-იაპონია — 1:0, ეკვადორი-აშშ — 2:0, იაპონია-აშშ — 2:1,განა-ეკვადორი — 2:1. პირველ ადგილზეა განის ნაკრები — 6 ქულა. „ბ" ჯგუფი: არგენტინა-პორტუგალია — 3:0, კოსტა-რიკა-გვინეა — 2:0, არგენტინა-კოსტა-რიკა — 2:0, გვინეა-პორტუგალია — 3:2. პირველ ადგილზეა არგენტინა — 6 ქულა. მეორეზე გვინეის ნაკრები — 3 ქულა. „ც" ჯგუფში მატჩები ასე დასრულდა: ნიგერია-კატარი — 1:1, ავსტრალია-ესპანეთი — 2:2, ნიგერია-ავსტრალია 2:0, ესპანეთი-კატარი — 1:0. წინ არის ესპანეთი — 4 ქულა, ამდენივე ქულით მეორეზეა ნიგერია. დასასრულს, „დ" ჯგუფში თამაშები ასე დასრულდა: ბრაზილია-გერმანია — 3:0, ომანი-კანადა — 2:1, ბრაზილია-ომანი — 0:0, გერმანია-კანადა — 3:0. 4 ქულით წინ არის ბრაზილიის ნაკრები. მეორეზეა ომანის ნაკრები — 4 ქულა.

## დ.პასარელამ გადაიფიქრა

მონტევიდეოდან (ურუგვაი) შინ დაბრუნებულ არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონის დანიელ პასარელას მისამართით არაერთი შენიშვნა გამოითქვა ბუენოს-აირესისა და მთელი არგენტინის პრესაში. მწვრთნელს ადანაშაულებენ იმაში, რომ სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშების დროს, მას რომ ბატისტუტას გვერდით უაღრესად გამოცდილი და ცბიერი კლაუდიო კანიჯა დაეყენებინა, არგენტინელები არ დამარცხდებოდნენ ბრაზილიელებთან. ნაკრების მთავარმა მესაჭემ დანიელ პასარელამ სამართლიანად მიიჩნია ფეხბურთის სპეციალისტთა შენიშვნები, რასაც ვერ ვიტყვით მარიო ზაგალოზე და გამოთქვა მოსაზრება, რომ 1995 წლის შემოდგომიდან შესაძლებელია არგენტინის ნაკრებში კვლავ ვიხილოთ დიეგო მარადონა და კლაუდიო კანიჯას დუეტი. დანიელ პასარელას არ ეპიტნავება მარადონა. სწორედ მან არ ურჩია ლუის მენოტის, 1978 წლის არგენტინის XI მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ქვეყნის ნაკრებში მიეწვია სრულიად ახალგაზრდა მარადონა. აი, ამის შესახებ იტყვიან ჩვენში — „ძალა აღმართსა ხნავსო".





ჭადრაკი

# «დინამოს» ღია ჩემპიონატი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა „დინამოს" ღია ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში, რომელშიც 42 ქალი და ვაჟი მონაწილეობდა. ტურნირი შვეიცარული სისტემით — 9 ტურად ჩატარდა. 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ეროვნულმა ოსტატმა დავით ლობჟანიძემ. მეორე ადგილი წილად ხვდა ბექა კვარაცხელიას — 7 ქულა, მესამეზეა ეროვნული ოსტატი გივი გამრეკელი, რომელმაც 6,5 ქულა დააგროვა. გამარჯვებულ მოჭადრაკეებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები. შემდეგ გაიმართა ტურნირი ელვისებურ თამაშში, რომელშიც 33 მოჭადრაკე გამოდიოდა. აქ ყველას აჯობა ეროვნულმა ოსტატმა გივი გამრეკელმა, რომელმაც 7 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა აკაკი შალამბერიძემ — 6,5 ქულა. 6-6 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს პაატა ვაშაკიძემ და რომან სიჭინავამ. კოეფიციენტების ცხრილში უკეთესი მაჩვენებლების გამო, მესამე ადგილი ვაშაკიძეს ხვდა; ელვისებურ თამაშში გამარჯვებულები და პრიზიორებიც ფულადი ჯილდოებით დააჯილდოვეს. პრიზი დინამოელ ვეტერანთა შორის მიიღო ვიქტორ დავითაშვილმა. არადინამოჴლთა შორის კი გადაეცა ნოდარ გოგაძეს. 14 წლამდე გოგონათა შორის დაწესებული პრიზი გადაეცა ნინო მაისურაძეს, ჭაბუკებში — მალხაზ მალხაზოვს.

კროსვორდი



თარაზულად: 1. გარეული ღორი (4) 2. მდინარე ქართლში (5) 4. ტერმინი პრეფერანსში (5) 6. მტაცებელი ცხოველი (4) 12. სამხედრო შენაერთის სახეობა (9) 15. ჯილდო (5) 17. გეომეტრიული წირი (8) 18. აშშ-ს პრეზიდენტი (8) 23. შოტლანდიის საფეხბურთო კლუბი (7) 25. ტროპიკული ხილი (5) 26. შვედი ფეხბურთელი (7) 27. საპატიო ტიტული ინგლისში (5) 31. ციხე-სიმაგრე საქართველოში (7) 37. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი (8) 38. დატვირთული აქლემების მწკრივი (8) 39. სასაფლაო თბილისში (5) 41. ქალაქი გერმანიაში (9) 44. მტაცებელი ფრინველი (4) 45. წვრილი ფული ინგლისში (5) 46. თბილისის „დინამო"-ს ყოფილი მეკარე (5) 47. ფერადი ლითონი (4)

შვეულად: 1. ისტორიული მხარე საქართველოში (3) 3. აფრიკის სახელმწიფო (8) 5. იტალიელი ფიზიკოსი (8) 7. ცეცხლის ანადენი (3) 8. ესპანელი მოგზაური (7) 9. ინგლისის ქალაქი (5) 10. აღმოსავლური ზღაპრების გმირი (7) 11. მღრღნელი (6) 13. ავტომანქანების მწკრივი (6) 14. მინერალი (5) 16. საფრანგეთის ქალაქი (5) 19. რუსი კომპოზიტორი (7) 20. ჰოლივუდის ვარსკვლავი (7) 21. მოწყობილობა, რომელიც ამაღლებს კომპიუტერის ეფექტიანობას (7) 22. ცურვის სტილი (5) 24. ინგლისის საფეხბურთო კლუბი (5) 28. გერმანელი ფილოსოფოსი (5) 29. აფრიკის სახელმწიფო (5) 30. სასიყვარულო ჟანრის ლექსი (6) 32. ფულის ერთეული ევროპის რიგ ქვეყნებში (6) 33. ვოინიჩის რომანი (7) 34. სიყვარულის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში (8) 35. ქუჩის გასანათებელი საშუალება (8) 36. ქალაქი ინდოეთში (7) 40. გველის სახეობა (5) 42. დიდი ზომის ჩაქუჩი (3) 43. კომში (3)

შეადგინა ც. ნაზღებია

ART MONITOR

# სატელევიზიო ფესტივალის «მანა-95» დებულება



## ორგანიზატორები

სატელევიზიო ფესტივალის „მანა-95"-ის ორგანიზატორია კერძო პირები და საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი, რომლებიც ფესტივალის ჩასატარებლად ქმნიან დირექტორატს, საორგანიზაციო კომიტეტს და აპარატს. საორგანიზაციო კომიტეტში შედიან საქართველოში მოქმედი ტელეკომპანიების, ტელესტუდიების, შემოქმედებითი გაერთიანებების, საავტორო ჯგუფების, აგრეთვე საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

## ფესტივალის მიზანი

ფესტივალი „მანა-95"-ის მიზანია ტელევიზიის სფეროში მომუშავე ხალხის უკეთ წარმოჩენა, მათი საქმიანობის პროპაგანდა და სტიმულირება, მათგან საუკეთესოთა გამოვლინება და დაჯილდოვება, აგრეთვე საქართველოს ტელეეთერის სათერო დონის ამაღლება. ტელეკომპანიებს, ტელესტუდიებს, შემოქმედებით გაერთიანებებს, საავტორო ჯგუფებსა და ტელევიზიაში მომუშავე შემოქმედთა თუ ტექნიკურ მუშაკთა შორის ჯანსაღი კონკურენციის გზით, საქართველოს ტელევიზიის ისტორიაში არსებული კეთილი ტრადიციების გამდიდრება და საერთოდ, საქართველოში ტელევიზიის შემდგომი განვითარება.

## ფესტივალის ვადები

სატელევიზიო ფესტივალი „მანა-95" ტარდება 1995 წლის მაის-ოქტომბერში 3 ეტაპად: 1. „წინასწარი" ეტაპი მაისიდან 1 სექტემბრამდე, 2. „საკონკურსო" ეტაპი გრძელდება 1 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე, ხოლო 3. „დასკვნითი" ეტაპი შედგება 21 ოქტომბერს.

წინასწარ ეტაპზე მოხდება საკონკურსოდ წარდგენილი გადაცემებისა და პრეტენდენტების განაცხადების წარმოდგენა და მათი წინასწარი განთესვა. „საკონკურსო" ეტაპზე მოხდება ნომინაციებზე წარმოდგენილი გადაცემების ჩვენება საქართველოს ტელევიზიის 1 არხით, ხოლო 21 ოქტომბერს ფილარმონიაში შედგება გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

## კონკურსის პირობები

სატელევიზიო ფესტივალი „მანა-95"-ში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში მომუშავე ყველა სახელმწიფო თუ დამოუკიდებელი ტელეკომპანიების, ტელესტუდიების, შემოქმედებითი გაერთიანებების, საავტორო ჯგუფების წარმომადგენლებს, აგრეთვე ინდივიდუალურ პრეტენდენტებს.

კონკურსზე დაიშვებიან 1994 წლის 10 ივლისიდან 1995 წლის 15 აგვისტომდე მომზადებული და ეთერში გასული გადაცემები, აგრეთვე ინდივიდუალური პრეტენდენტები, რომლებიც აღნიშნული პერიოდის მანძილზე მუშაობდნენ ცისფერ ეკრანზე. საკონკურსო გადაცემებისა და ინდივიდუალურ პრეტენდენტების მუშაობის შედეგებს შეაჯამებს საფესტივალო ჟიური, რომელიც შეირჩევა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, კონკურსში მონაწილე ტელეკომპანიების, ტელესტუდიებისა და შემოქმედებითი გაერთიანებების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით. ჟიური წინასწარი შერჩევის ეტაპზე გამოავლენს საკონკურსო გადაცემებს, რომლებიც საკონკურსო ეტაპზე ნაჩვენები იქნება საქართველოს ტელევიზიის 1 არხით (არხის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით), ჟიური უფლებამოსილია თვითონვე ამოირჩიოს ან შეცვალოს საკონკურსოდ წარდგენილი გადაცემის ნომინაციების კატეგორია. 21 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგება გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი. გამარჯვებულები გამოვლინდებიან საფესტივალო ჟიურის დახურულ სხდომებზე, 10-ბალიანი შეფასების სისტემით. გამარჯვებულთა ვინაობა დასახელდება მხოლოდ დასკვნით ცერემონიალზე (შენიშვნა: მაყურებელთა სიმპათიის მფლობელი გამოვლინდება მაყურებელთა გამოკითხვით).

საკონკურსო გადაცემებისა და ინდივიდუალური პრეტენდენტების სიის წარდგენა ჟიურიში ხდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, ტელეკომპანიების, ტელესტუდიების, შემოქმედებითი გაერთიანებების ხელმძღვანელობის (შესაძლოა სამხატვრო საბჭოების მიერ), პირველი პირების ხელმოწერით.

თითოეულ ტელეკომპანიას, შემოქმედებით გაერთიანებას, საავტორო ჯგუფს და ასევე ინდივიდუალურ პრეტენდენტს უფლება აქვს თითოეულ ნომინაციაზე წარმოადგინოს მაქსიმუმ 3 (სამი) საპრეტენდენტო ერთეული, ერთი პრეტენდენტის (გადაცემა ან პიროვნების) მონაწილეობა სხვადასხვა ნომინაციაში შეზღუდული არ არის, ფესტივალის დირექციას უფლება აქვს გამონაკლისის სახით კონკურსზე დაუშვას ცალკეული გადაცემები და ინდივიდუალური პრეტენდენტები.

ნომინაციაში გამარჯვებულებს საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლების მიერ გადაეცემათ საფესტივალო პრიზი „მანა" (სამახსოვრო ტვიფრით), ხოლო „გრან-პრის" ლაურეატი პრიზთან ერთად მიიღებს ფულად პრემიას ამერიკულ დოლარებში.

ტელეკომპანიების ხელმძღვანელები დახმარებას უწევენ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს კონკურსებთან წინასწარი მუშაობისას, აგრეთვე პერიოდულად ფესტივალის მსვლელობა გაშუქდება საინფორმაციო თუ სხვა სახის გადაცემებში.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის, დირექტორიისა და აპარატის მისამართია: ქ.თბილისი, ი.ნიკოლაძის ქ.№8

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდი

ტელეფონი: 291257 291059

ტელეფესტივალ „მანა-95"-ის საკონკურსო ნომინაციები

1. საუკეთესო სატელევიზიო დიქტორი
2. საუკეთესო სატელევიზიო წამყვანი
3. საინფორმაციო გადაცემის საუკეთესო წამყვანი.
4. საუკეთესო ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა
5. საუკეთესო საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა
6. ყველაზე რისკიანი რეპორტაჟი
7. საუკეთესო პუბლიცისტური გადაცემა (პროგრამა)
8. საუკეთესო შემეცნებითი გადაცემა (პროგრამა)
9. საუკეთესო გასართობი გადაცემა (პროგრამა)
10. საუკეთესო მუსიკალური გადაცემა (პროგრამა)
11. საუკეთესო სპორტული გადაცემა (პროგრამა)
12. საუკეთესო საბავშვო-საყმაწვილო გადაცემა (პროგრამა)
13. საუკეთესო ლიტერატურული გადაცემა (პროგრამა)
14. საუკეთესო კინო გადაცემა (პროგრამა)
15. საუკეთესო თეატრალური გადაცემა (პროგრამა)
16. საუკეთესო მუსიკალური კლიპი
17. საუკეთესო სატელევიზიო ფილმი
18. საუკეთესო პროდიუსერი
19. საუკეთესო სატელევიზიო რეკლამა
20. სატელევიზიო გადაცემათა საუკეთესო ქუდი
21. საუკეთესო სატელევიზიო რეჟისორული ნამუშევარი
22. საუკეთესო სატელევიზიო ოპერატორული ნამუშევარი
23. საუკეთესო სატელევიზიო მონტაჟური ნამუშევარი
24. საუკეთესო სატელევიზიო მხატვრული გაფორმება
25. საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის
26. საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი
27. ფესტივალის აღმოჩენა
28. საუკეთესო უცხოური ტელეგადაცემა
29. მაყურებელთა სიმპათიის პრიზი
30. „გრან-პრი"



# სისხლით ნაბეჭდი „ტელე-სინე-ვიდეო"

ხანგრძლივი თურქული ვოიაჟის შემდეგ, როგორც იქნა, საშველი დაადგა „ტელე-სინე-ვიდეოს" გამოცემას. მუხლმოწყვეტილმა რედაქციამ კი თავი ნიცშეს ზარატუსტრას „კურთხევით" შეიმკო: „ყოველთა დაწერილთა შორის მიყვარს იგი, რაც ადამიანს თავისი სისხლით დაუწერია. სისხლით სწერდე და შეიტყობდე, რომ სისხლი სულია". ნუ გაგაოცებთ ეპიგრაფი და ნუ იგრძნობთ თავს უცხოდ. საკმარისია, ერთი გვერდი გადაშალოთ და დარწმუნდებით, რომ ჟურნალი მართლაც ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი: ინტერვიუები, ტელევიზიის ვარსკვლავ ლია მიქაძესთან, გორილებთან შეზრდილ სიგურნი უივერთან, მონაკოს პრინცესა სტეფანიასთან, კატრინ დენევთან და თინეიჯერების საყვარელ East 17-თან. აქვეა პუბლიკაციები უგემოვნო მაყურებლისა გემოვნებიანი ფელინის, მუსიკალური გიიომ დეპარდიესა და უბედური მერლინ მონროს შესახებ. გაეცნობით ფრანსუა ჟენეს რისკიან რეპორტაჟს ინდონეზიიდან და ჟერარ დარმონის მონათხრობს: „როგორ მოვხვდი გიორგი დანელიასთან". ჟაკ-მარტენის ნოყიერი რეცეპტები, ივნისში დაბადებულთა ჰოროსკოპი, ვიქტორინა, კროსვორდი, ვერნისაჟი. ყველაფერი ეს ჟურნალში „ტელე-სინე-ვიდეო".

ჟურნალი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული და ისევე, როგორც ბევრი სხვა ქართული გამოცემა, თარგმნილი მასალითაა სავსე, თუმცა, თითქმის არსადაა მითითებული წყაროები, მთარგმნელთა და პუბლიკაციის ავტორთა გვარები, ამაზეა ნათქვამი: „შენ ხილი მიირთვი, მებაღეს რას კითხულობო". „ტელე-სინე-ვიდეო" მართლაც ახალი ხილია და მებაღის მზრუნველი ხელიც ეტყობა.

მალხაზ ხარბედია

## ჰიტ-კიდობანი

QUEEN
INNUENDO

Oooh-ooh, oooh-ooh
While the sun hangs in the sky and the desert has sand
While the waves crash in the see and meet the land
While there's a wind and the stars and the rainbow
Till the mountains crumble into the plain
Oh yes we'll keep on tryin'
Tread that fine line
Oh we'll keep on tryin' yeah
Just passing our time
Oooh-ooh, oooh-ooh
While we live according to race, color or creed
While we rule by blind madness and pure greed
Our lives dictated by tradition, superstition, false religion
Through the eons, and on and on
Oh yes we'll keep on tryin' We'll tread that fine line
Oh oh we'll keep on tryin' yeah
Till the end of time
Till the end of time
Through the sorrow all through our splendor
Don't take offence at my innuendo
Do do do do do do do
Do do do do do do do do do do do do
You can be anything yoy want to be
Just turn yourself into anything you thik that you could ever be
Be free with your tempo, be free be free
Surrender your ego - be free, be free to yourself
Oooh-ooh, ooohoooh yeah
If there's a God any kind of justice under the sky
If there's a point, if there's a reason to live or die uh
If there's an answer to the questions we feel bound to ask
Show yourself - destroy our fears - release your mask
Oh yes we'll keep on trying
Hey tread that fine line
Yeah (yeah) we'll keep on smiling yeah (yeah yeah yeah)
And whatever will be - will be
We'll just keep on trying
We'll just keep on trying
Till the end of time
Till the end of time
Till the end of time.

# O TEMPORA, O MORES!



## 15 აგვისტო

1915 — 80 წლის წინ დაიბადა სერგო ცინცაძე, არქიტექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (გარდაიცვალა 1984 წელს).

1915 — 80 წლის წინ დაიბადა კახა ჯავახიშვილი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი.

1925 — 70 წლის წინ დაიბადა მიხეილ ბარანოვი, ხელოვნებათმცოდნე.

1967 — დიდ ბრიტანეთში აიკრძალა რადიოსადგურები, რომლებიც არალიცენზირებულ მუსიკას უშვებდნენ.

1968 — ვუდსტოკში გაიხსნა ლეგენდარული როკ-ფესტივალი, რომელსაც 400 000 მაყურებელი ესწრებოდა. მონაწილეობდნენ: The Jimi Hendrix Experiense, Blood, Sweat Tears, ჯოან ბაეზი, Creedense Clearwater Revival, The Jefferson Airplane, The Band, ჯენის ჯოპლინი, Sly and The Family Stone, Canned Heat, The Who, Richie Havens, Crosby, Stills, Nash Young, Arlo Guthrie, Ravi Shankav, Jonny Winter, Ten Years After, Country Joe The Fish, Grateful Dead, კარლოს სანტანა, ჯო კოკერი, ჯონ სებასტიანი, The Incredible String Bang, ტიმ ჰარდინი, პოლ ბატერფილდი, Sha Na Na, Quill.

## 16 აგვისტო

1645 — 350 წლის წინ დაიბადა ჟან ლაბრიუიერი, ფრანგი მწერალი, სატირიკოს-მორალისტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი 1693 წლიდან.

1910 — 85 წლის წინ დაიბადა ლეონიდე მამალაძე, საქართველოს სახალხო მხატვარი (გარდაიცვალა 1982 წელს).

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი ბოლოთაშვილი, დავით კახაბერი, შადიმან შამანაძე, ვახტანგ სალია, გულსუნდა სიხარულიძე.

პასუხისმგებელი მდივანი მაია ტორაძე, სარეკლამო სააგენტოს დირექტორი დიმიტრი მოსულიშვილი
კომპიუტერული ცენტრის უფროსი თენგიზ ჩოლოყაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.